№ 2686
ოთხშაბათი,
1 დეკემბერი

# ცნობის ფურცელი

1110

№ 2686
ოთხშაბათი,
1 დეკემბერი

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წელიწადი მეათე
სურათებიანი დამატებით.

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან.
ფასი გაზეთისა გაგზავნით
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.
საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მან.

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე“ წელიწადი მეთორმეტე.

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით 10 მან. ცალკე №—1 მან.
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“
საზღვარ გარედ ერთის წლით 13 მან. ცალკე №—1 მ. 20 კ.

◆ უფასოდ გაეგზავნება ◆

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ
[illegible] ნაწერების ფორმატისას

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასს გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ბანკის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

მარიამ ლუარსაბის ასული კიკნაძისა, მარიამ დიმიტრის ასული ყარანგოზოვისა, ალექსანდრე ნიკოლოზის და ივანე გიორგის ძენი ყარანგოზოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი დედის—დისა

სოფიო იოსების ასულის კნ. ვახვახოვისას.

პანაშვიდები დილის პირველ საათზე და საღამოს შვიდ საათზე პირველს დეკემბერს, კვირაცხოვლობის ქუჩა № 23. გამოსვენება სახლიდან ორს დეკემბერს ათს საათზე, დაკრძალვა, შუამთის მონასტერში თელავის მაზრაში. (1—396—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. (აბონემენტის რიცხვში)

დღეს, 1 დეკემბერს, ქართულ დრამატიულის დასის მიერ, ბატონ ვლ. ალექსი-მესხიშვილის ავადმყოფობის გამო წარმოსადგენად დანიშნული „ურიელ აკოსტა“ გადაიდება და წარმოდგენილი იქნება:

I
ფული და ხარისხი
კომედ. 3 მოქმ. თხზ. ნ. აზიანისა.

II
თავის ბრალია
ვოდ. 1 მოქ. თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ლეჟავა, ნებიერიძე; ბ-ნნი: გუნია, გედევანოვი, იმედაძე, შალიკაშვილი, ხარკვიანი, სარჯველაძე, წუწუნავა და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ადმინისტრაცია ამხანაგობისა.

დასაწყისი 8 საათზე.
მორიგე რეჟისორი მ. აბაშიძე.

შემდეგი წარმოდგენა 8 დეკემბერს, ბენეფისი ვ. გუნიასი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალთა დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ხალაჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

ბ. ფ. მუდროვი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. ქიმონტი.—ქირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. ფონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

მ. ს. ხუხუნაშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველდღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ექ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ და პარასკევობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ნ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში დღის სამი მან. საზოგადო ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟევსკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ე. ზამბურგერი
გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—18)

კბილის ექიმი
ვლ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—36)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული სნით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—17)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ბარონის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 792.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლოზარიშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხილოვის ქ. № 149, საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—686—17)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის და ნერვებისა. ყოველდღე საღამოს 5—8 საათამდე. გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. (30—1)

ქუთაისში დ. ი. ოცხელის სანერგეში იყიდება საუკეთესო დამყნილი ვაზები სხვა-და-სხვა ჯიშისა.
ტფილისის ქუჩის შესახვევი, კვინიხიძის სახლი. (4—4133—4)

# რუსეთ-იაპონიის ომი

## დეპეშები

### „რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
29 ნოემბერი

**ლონდონი**, 29 ნოემბერი („რეიტერი“). „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი ალმოსავლეთ ერლუნგშანსა და ცუნგუანშანზე 12—14 ნოემბერს მიტანილ შტურმის ამბავს იუწყება და ამბობს, იაპონელების იერიშმა, ფორტების ალმოსავლეთ სერზე მიტანილმა, იმიტომ ჩაიარა ცუდად, რომ რუსები მოხერხებით და დიდის მამაცობით იცავდნენ ფორტებს, თითონ ფორტების შიდა სიმაგრეებიც მეტად ძლიერია და უფრო კარგად შეიარაღებული ალმოჩნდა, ვიდრე ეგონათ.—არგენტინის გარეშე საქმეთა მინისტრმა დეპეშით შეატყობინა არგენტინის ელჩს ლონდონში, ის ხმა, ვითომ არგენტინის სამხედრო გემების გაყიდვაზე მოლაპარაკება იყოს გამართული, ყოველ საფუძველსაა მოკლებულიო.

**ქანეია**, 29 ნოემბერი („რეიტერი“). გუშინ საღამოთი სუდის ბუხტაში კრეისერები „ოლეგი“ და „დნეპრი“ და კონტრ-ნაღმიანი გემი „გროზნი“ მოვიდნენ.

**კაპშტადტი**, 29 ნოემბერი („რეიტერი“). ორმა დიდმა გემმა, ალბად, ბალტიის ესკადრისამ, დილით ადრე კეთილ იმედის კონცხის წინ გაიარა.

**მუკდენი**, 29 ნოემბერი. პორტ-არტურზე აქ უკანასკნელ დროს უფრო სანუგეშო ცნობები მოვიდა. მუდმივი ფორტები ჯერ ხელ-უხლებელია.

### „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
29 ნოემბერი.

**ლონდონი**, 29 ნოემბერი. იაპონიის აქაურმა საელჩომ ტოკიოდან მიღებული დეპეშა გამოაცხადა: პორტ-არტურიდანა და გენ. ნოგის არმიიდან იუწყებიან, 28 ნოემბერს ზარბაზნის სროლის დროს, ძლიერ დავაზიანეთ უმთავრესი ტელეგრაფის სადგური ოქროს გორის ძირას; არსენალსაც ცეცხლი წაეკიდა.

**ბერლინი**, 29 ნოემბერი. ტოკიოდან მიღებულ ოფიციალურ ცნობის თანახმად, იაპონელებს ოქტომბრის გასულს 8 ათასი მოკლული და 10 ათასი დაჭრილი დაჰკლებიათ.

**ალჟირი**, 29 ნოემბერი. გუშინ აქ დიდის პატივით დაასაფლავეს რუსის ნაღმიან გემის ოფიცრის მიჩმან მალიუგინის გვამი.

**ტოკიო**, 29 ნოემბერი. როგორც გამოცხადებულ ოფიციალურ მოხსენებიდან სჩანს, გუშინაც დაუშენიათ ზარბაზანი პორტ-არტურისათვის და გემები „პოლტავა“ და „ამური“ დაუზიანებიათ.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ომის ამბები.** მუკდენიდან დეპეშით ატყობინებენ უცხოეთის გაზეთებს: უცხოეთის სამხედრო აგენტები და კორესპონდენტები თანდათან მიდიან რუსის არმიიდან. პოლკოვნიკ უოტერსის (ინგლისის სამხედრო აგენტია) გარდა, ამერიკელი სამხედრო აგენტები პოლკოვნიკები შუილერი და რეიზმანიც წავიდნენ. მუკდენში მხოლოდ 6 უცხოელი კორესპონდენტი-ღა დარჩა, ზოგიერთი ამათგანიც აპირობს შინ დაბრუნებას. მოხდება თუ არა დიდი ბრძოლა გაზაფხულამდე? ამის თაობაზე ორნაირ აზრისანი არიან. ხმა დადიოდა, თუ იაპონელები ამა და ამ დრომდე იერიშს არ მოიტანენ, თითონ გენ. კუროპატკინი წავა იერიშით მარშალ ოიამას არმიაზეო. ხსენებულმა წამმა გაიარა კიდევაც, მაგრამ მაინც სრულობით არაფრიდან არა სჩანს, რომ რუსები წინ გალაშქრებასა და იერიშის მიტანას აპირობდნენ. („ნ. დ.“).

„სტანდარდ“-ის კორესპონდენტი იუწყება პეტერბურგიდან: 16 ნოემბერს ამერიკელი [illegible] კარლ ფლინტი მოსკოვს მივიდა და იქიდან ვარშავასა და სოფიაზე სტამბოლს წავიდა. ხმა დადის, ფლინტმა თან როტშილდის ბანკის ჩეკი მოიტანა 7 მილიონ გირვანქა სტერლინგისაო. რუსეთი რესპუბლიკა ჩილის სამხედრო გემებს ყიდულობს და 7 მილიონ გირ. სტერლინგს აძლევს. დალალობას ფლინტი ეწევაო. („რ.“).

როგორც დეპეშიდან ვიცით, ჩილის მთავრობამ გადაჭრით გამოაცხადა, არც ერთს მეომარ სახელმწიფოს არ მივყიდით გემებსაო.

**გენ. რენენკამფის მოქმედება.** გენ. რენენკამფის რაზმი ციანჩანისაკენ გაემართა, მაგრამ იქამდე ვერ ჩავიდა და 18 ნოემბერს ციანჩანიდან 15 ვერსის მანძილზე ჩრდილოეთით გაჩერდა. მას აქეთ კიდევ მოუვიდა შეტაკება იაპონელებთან და როგორც დეპეშა იუწყებოდა, კიდევ უფრო ჩრდილოეთისაკენ დაიხია. ბევრს მაინც იმედი ჰქონდა, გენ. რენენკამფი გენ. კუროკის ჯარს ზურგიდან მოექცევა, გზას მოუჭრის, პარტიზანულ მოქმედებას დაიწყებს და საქმეს გაუჭირვებსო. ამის თაობაზედ „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი პ. დ. კ. სწერს: „ავიწყდებათ, რომ პარტიზანული მოქმედება შეუძლებელია იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი პარტიზანს არ თანაუგრძნობს. ამბობენ, იაპონელები ცუდად ექცევიან ჩინელებს და ამიტომ ჩინელები რუსებს უფრო თანაუგრძნობენ, ვიდრე იაპონელებსო. მე არა მჯერა მოცლილ და ენა-წყლიან კორესპონდენტების ცნობები. ამიტომ არა მგონია, რომ ჩინელები რუსებს უფრო თანაუგრძნობდნენ, ვიდრე იაპონელებს და რაკი ხალხი არ თანაუგრძნობს ჯარსა, რაღა პარტიზანული მოქმედება შეიძლება. პარტიზანები და იმათი ცხენები მთლად ადგილობრივ ხალხის ხელში არიან. საჭმელსაც ხალხი აძლევს და მტრის ჯარის ამბავსაც ის აგებინებს. აი ამიტომ შესაძლებლად არ მიმაჩნია, რომ რუსებმა მანჯურიაში პარტიზანული მოქმედება მოახერხონ.“

**პორტ-არტური.** „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი პ. დ. კ. საინტერესო აზრებს გამოსთქვამს პორტ-არტურის მდგომარეობასა და გენ. ნოგისა და რუსის ჯარის მომავალ მოქმედებაზე. ბ. პ. დ. კ. სწერს:

„დეპეშიდან ვიცით, რომ 19 ნოემბერს პორტ-არტურის დამცველებმა მეორედ ჩამოაგდეს დროებითი შერიგება 6 საათით (დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე) მოკლულთა და დაჭრილთა მოსავლელად. მორიგება თითონ რუსებმა ითხოვეს და ეს გარემოება საკმაოდ საყურადღებოა. ეტყობა, ციხის ჩრდილოეთ ფრონტზე ხუთის დღის განმავლობაში (14—18 ნოემბერს) მეტად გამწვავებული ბრძოლა მოხდა და ორსავ მხარეს დიდი ზარალი მოჰსვლიათ ადვილად შესაძლებელია, რომ ბრძოლის ველზე საშინელ იერიშისა, მრავალ შეტაკების შემდეგ ბევრი დაჭრილი დარჩა და რაკი ზარბაზნის სროლა არც ერთმა მხარემ არ შეაჩერა, დაჭრილთა გატანა შეუძლებელი იყო. რუსებს პარლამენტერები (მოციქულები) გენ. ნოგის არმიის მარცხენა ფრთაზე გაუგზავნიათ; ეს ფრთა რკინის გზის აღმოსავლეთით მოქმედებს ვეშაპის ქედის გაყოლებაზე („დრაკონოვ ხრებეტ“) კუკუანისა და სხვა სიმაგრეების წინააღმდეგ. იქნება, გენ. ნოგის არმიის მთავარი სადგომიც სწორედ იქ იყოს, სადაც მოლაპარაკება მოხდა. ყველაზე მეტი ზარალი კი ორსავ მხარეს, რაღა თქმა უნდა, ვისოკაია გორის აღების დროს მოუვიდოდათ. როგორც ყოველთვის, იერიშის მიმტანს გაცილებით მეტი ზარალი მოუვიდოდა დამცველზე, მეტადრე ძლიერ, წინადვე გამაგრებულ პოზიციის აღების დროს. მაგრამ მაინც ის ცნობა, ვითომ იაპონელებს 15 ათასი კაცი დააკლდათო, დასაჯერებელი არაა; აკი ამას წინადაც ვსთქვით, რომ ეს ცნობა ტყუილი იქნებაო. დეპეშამ ორის დღის შემდეგ იაპონელების ზარალი თითქმის ერთი-ორად შეამცირა,—იაპონელებს 8 ათასი კაცი დააკლდათო, მაგრამ ესეც ახირებული ციფრია. ხელ-ახლად უნდა გავახსენოთ ყველას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯარის დიდ ზარალს. ხელ-ახლად გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ესეთი ცნობა სულ არა გვჯერა და გვიკვირს იმათი ქცევა, ვინც ამ ზარალს ჰთხზავს, ვისაც სჯერა ეს ცნობები და უფრო გვიკვირს, რომ ზოგიერთს მოპირდაპირის ზარალი გამარჯვების ნიშნად მიაჩნია. ერთად-ერთი საზომი გამარჯვებისა—ბრძოლის რეზულტატია (შედეგია), დიდი ზარალი კი ჯარის მედგრობის, მაღალ ღირსების და საკვირველ მამაცობის მაჩვენებელია, მეტადრე თუ დიდი ზარალის შემდეგ ჯარი კიდევ და კიდევ მიდის იერიშით. რასაკვირველია, მოხდება, რომ სულით სუსტი კაციც საზარელ ბრძოლისა და ელდისაგან თავზარდაცემული, პირველი მიდის ხოლმე წინა, ეგაა ესეთი წინ წასვლა თითქმის მხდალობად ჩაითვლება და არა ნამდვილ ვაჟკაცობად. მაგრამ თუ ჯარი ერთისა და იმავ გზით ამხანაგების სისხლით მორწყულ და გვამებით სავსე ბრძოლის ველზე რამდენჯერმე მედგრად მიდის იერიშით, ესეთი ჯარი ნამდვილ გულად და ღირსეულ ჯარად უნდა ჩაითვალოს...

მას აქეთ, რაც იაპონელებმა 203 მეტრიანი, ანუ „ვისოკაია გორა“ აიღეს, ხელ-ახლად დაიწყეს ლაპარაკი, რუსის მეციხოვნე ჯარი უკანასკნელ გაჭირვების დროს ლიაოტეშანს შეაფარებს თავსაო. ძნელი გამოსაკვლევია, საიდან დაიბადა ეს აზრი, მაგრამ მაინც ეჭვს გარეშეა, რომ ლიაოტეშანს ბევრი მომხრე ჰყავს და ბევრს თითქმის უებარ წამლად მიაჩნიათ იაპონელების ყოველნაირ გამარჯვების წინააღმდეგ. ყველა რაღაც მიზეზით დარწმუნებულია, რომ ციხის დამცველები ლიაოტეშანზე უნდა ავიდნენ და იქ მოიგერიონ მტერიო, თუმცა ლიაოტეშანს არავითარი კავშირი არა აქვს ციხესთან; ეს უცნაური აზრია სწორედ; უფრო უცნაური კიდევ ისაა, რომ ბევრსა ჰგონია, ვითომ ესეთ ქცევას რაიმე არსებითი მნიშვნელობა ექნებაო. გვგონია, რომ ეხლა მალე ცხადად გამოირკვევა, თუ რას აპირობენ პორტ-არტურის დამცველები. ჩვენის აზრით, ციხის დამცველები უმთავრესად ციხის აღმოსავლეთ ნაწილის დაცვას მიაქცევენ ყურადღებას. რა სარგებლობა ექნება ციხეს, მეციხოვნე ჯარი რომ გაჭირვების წამს რომელსამე მიუვალ გორაზე ავიდეს? ციხეს რაღა ეშველება ამ დროს? აიღებენ არა? რაღა სერიოზული მნიშვნელობა ექნება დამცველ ჯარს, მიუვალ კლდეზე გამაგრებულს, რაკი თითონ ციხე აღარ იქნება? რასაკვირველია, მაშინ დამცველები მტერს ტყვედ აღარ დაჰნებდებიან, მაგრამ ამ გამაგრებასა და ბრძოლას არავითარი გავლენა არ ექნება ომის მიმდინარეობაზე. ამიტომ აქ კიდევ ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ ციხის აღმოსავლეთ ნაწილზე. ამ ნაწილის მნიშვნელობა ჩვენ რამდენჯერმე აგვიხსნია. საწყობებისა, არსენალებისა, საავადმყოფოებისა და ყოველგვარ დაწესებულებათა მომეტებული ნაწილი იქა მდებარეობს. ეს ნაწილი უფრო ძლიერადაცაა გამაგრებული: აქ მრავალი მკვიდრი სიმაგრეა აშენებული; ბუნებრივი ადგილმდებარეობაც უკეთესი აქვს: ვეშაპის ქედი (რუსულად „დრაკონოვ ხრებეტ“) რკალივით აკრავს აღმოსავლეთ ნაწილს და დიდ სიმაგრესაც აძლევს, ასე რომ ეს ნაწილი ციხის ნამდვილი, საიმედო ბურჯია. დასასრულ, რუსის ფლოტიც აქა დგას; რუსის ხუთ ჯავშნიან გემს ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი ძალა აქვს და აბუჩად ასაგდები როდია...

203 მეტრიან გორის აღებით იაპონელებმა ციხის ფორტების წრე გაარღვიეს, ციხის დასავლეთ და ჩრდილოეთ ფორტებს შუა ჩადგნენ და ამას იქით ციხის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილის ერთმანეთისაგან მოწყვეტას ეცდებიან. ერთ დეპეშაში ნათქვამი იყო, მრავალ თავგანწირულ იერიშის შემდეგ ციხის დამცველები ანძიშანისა (სუნშუშანის ფორტის ახლოს, რკინის გზის მხარეს) და იძიშანისაკენ (ჩრდილოეთ ფრონტის მარცხენა ფრთაზე მდებარეობს) დაიხიესო. შესაძლებელია, რომ იაპონელები 203 მეტრიან გორაზე გამაგრდებიან და ყოველნაირად ეცდებიან, ამ ფორტების შუა კიდევ წინ წაიწიონ და ახალი პოზიციები დაიჭირონ. რაკი იაპონელები ამ ორ ფორტს შუა წინ წაიწევენ, ციხის აღმოსავლეთისა და დასავლეთ ნაწილს თითქმის მოსწყვეტენ ერთმანეთს.

მაშინ მეტად მნიშვნელოვანი წამი დადგება. მართალია, ციხეს კიდევ ექნება ბრძოლის თავი, კიდევ შეეძლება წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ის გარემოება გააჭირვებს საქმეს, რომ რუსებმა მაშინ ხელად უნდა გადასწყვიტონ, როგორ მოიქცნენ და უკანასკნელი წინააღმდეგობა იაპონელებს სად, რომელ ფორტებში გაუწიონ. იცოდეთ, რომ ესა, თუ ის ფორტები იმის შემდეგ-კი არ უნდა აირჩიონ, როცა წინა ფორტებს სულ მტერი აიღებს; არა, ეს უკანასკნელი ბურჯი და თავშესაფარი ადგილი გაცილებით წინ უნდა აირჩიონ, თორემ მერე გვიანღა იქნება. განა ერთს წამს მაინც შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეციხოვნე ჯარი ლიაოტეშანზე გადავა? გაისარჯენით, კარტას დახედეთ და დაინახავთ, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები ერთ მთლიან ციხეს წარმოადგენ, ლიაოტეშანი-კი ციხის გარედ მდებარეობს, დასავლეთ ნაწილისა და ვეშაპის ნახევარ

კუნძულის სამხრეთით, მართალია ლიაოტეშანი მეტად მაღალი ადგილია, მაგრამ მეტად დაშორებულია სხვა ადგილებს და ხანგრძლივ გამაგრებისა და ბრძოლისათვის არ გამოდგება.. მაშ დადგება წამი, როცა რუსის მეციხოვნე ჯარმა უნდა გადასწყვიტოს, თუ სად იმოქმედოს შემდეგში, ციხის რომელ ნაწილში დაიცვას თავი და მოიგერიოს მტერი. განა ცხადი არაა, რომ რუსის ჯარი ციხის აღმოსავლეთ ნაწილს დაიცავს და იქ გამაგრდება, რადგან პორტ-არტურის ნამდვილი გული ამ ნაწილში მდებარეობს? ხომ იცით, სანამ გული სცემს, მთელი სხეულიც ჯანამდე ცოცხლობს; ამ შემთხვევაში სხეულად რუსის ციხე და ფლოტი ჩაითვლება. ან როგორ წავიდნენ ლიაოტეშანზე, რა დროს? უკანასკნელ წამს? რას ჰნიშნავს ესა? არა მგონია, რომ იმათ, ვისაც მეციხოვნე ჯარი ასე ადვილად გადაჰყავთ აღმოსავლეთ ნაწილიდან დასავლეთში და მერე იქიდან ერთბაშად ლიაოტეშანზე, ესმოდეთ ესა. განა შეიძლება ჯარი ლიაოტეშანზეც წავიდეს და იმავე დროს მტერიც შეაყენოს? წინადვე წასვლაკი ციხეზე ხელის აღება იქნება. ამიტომ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ იაპონელები უმთავრეს ფორტებს წრეს გაარღვევენ და ციხის ორსავ ნაწილს ერთმანეთს მოსწყვეტენ, რუსის მეციხოვნე ჯარი ციხის აღმოსავლეთ ნაწილში გადავა (ოქროსა და ვეშაპის გორები ერლუნშანამდე), იქ გამაგრდება და დიდ. წინააღმდეგობასაც გაუწევს იაპონელებს, დასავლეთ ნაწილის ფორტებსა და ლიაოტეშანზე-კი წინადვე შესაფერს მეციხოვნე ჯარს ჩააყენებენ, მაგრამ უმთავრესი ბრძოლა დასავლეთ ფორტებსა და ლიაოტეშანზე როდი მოხდება. შეიძლება ზოგმა თქვას, ბოლოს მეციხოვნე ჯარი მაინც ლიაოტეშანზე გადავაო (როდის და როგორ გადავა?), მაგრამ გინდ რუსებმა მოახერხონ კიდევაც ლიაოტეშანზე გადასვლა, შემდეგი ბრძოლა უბრალო ბრძოლა-ღა იქნება ერთის პატარა ჯგუფისა იაპონელების არმიასთან და ეს მცირე ჯგუფი პორტ-არტურისათვის კი აღარა, მხოლოდ იმისთვის იბრძოლებს და გასწყდება, რომ ტყვედ არ დაჰნებდეს მტერსა. იმ დროს ციხის საქმე სამუდამოდ წასული იქნება".

„ჰავასის სააგენტოს" დეპეშებს თუ დავუჯერებთ, პორტ-არტურში რუსის აფიცრების უმეტესობა დაყრუვებულა მუდმივ ზარბაზნის გრიალისაგან („პ. ლ.").

მესამე ესკადრის გაგზავნა შორეულ-აღმოსავლეთს. „ლოკ. ანცაიგერ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, რუსეთმა ნამდვილად გადასწყვიტა მესამე ესკადრის გაგზავნა. მესამე ესკადრას განსაკუთრებით ბალტიის ფლოტის გემებისაგან შეადგენენ. ამ ესკადრაში იქნება: 7 ჯავშნიანი გემი „პაველ I"-ის ტიპისა, თითო გემს 16,800 ტონა წყალ-წყვა აქვს; ჯავშნიანი გემი „სლავა", 4 ჯავშნიანი კრეისერი და 40-მდე ნაღმიანი გემი. ესკადრის უფროსად, უეჭველია, ადმირალ ჩუხნინს დაჰნიშნავენ.

ამავე გაზეთის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რუსეთში ბძანებაა გაცემული, რომ დაუყოვნებლივ დაამზადონ ჯავშნიანი გემები „სინიავინი", „უშაკოვი", „აპრაკსინი", „ნიკოლაი I", „ალექსანდრე II" და ჯავშნიანი კრეისერები: „მინინი", „ვლადიმირ მონომახი", „პამიატ აზოვა" და 15-მდე ნაღმიანი გემი. ხსენებულ კრეისერებს მეტად პატარა საწყობები აქვთ ქვა ნახშირისათვის, ამიტომ მეტად საეჭვოა, რომ შორეულ აღმოსავლეთს წასასვლელად გამოდგნენ. ჯავშნიანი გემი „სლავა"-„ცესარევიჩის" ტიპისაა—მხოლოდ აპრილში იქნება მზად. სამინისტრო აფიცრებისა და მატროსების შოვნას ცდილობს ახალ ესკადრისათვის. მესამე ესკადრის შედგენა აღმ. როჟესტვენსკის მოხსენებაზე იქნება დამოკიდებული. შავის ზღვის ფლოტს 5 გემი ჰყავს შორეულ აღმოსავლეთში წასასვლელად გამოსადეგი და ამ 5 გემიდან ეხლავე მხოლოდ 1900 წელს აშენებულ „პოტემკინ ტავრიჩესკი"-ს გაგზავნა შეიძლება. („რ.").

„ეკო დე პარი"-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი არწმუნებს, რუსეთის სამხედრო მთავარ შტაბში სარწმუნოდ გავიგე, რომ შავის ზღვის ფლოტი შორეულ აღმოსავლეთს წასასვლელად სამ თვეზე ადრე ვერ მოემზადებაო. მესამე ესკადრას რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაჰგზავნის, თუ აღმ. როჟესტვენსკი იაპონიის ფლოტს თვალ-საჩინოდ შეასუსტებს და ან ვლადივასტოკს მივა ან პორტ-არტურს, იქ მესამე ესკადრას მოუცდის და მერე შეერთებულის ძალით დაეცემა და საბოლოოდ დაამარცხებს იაპონიის ფლოტსაო. („ნ.").

### მთავრობის განცხადება

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

„როგორც დამატებით შეკრებილ ცნობებიდან აღმოჩნდა, პეტერბურგში, ნევის პროსპექტზე, 23 ნოემბერს მომხდარმა უწესოებამ ასე ჩაიარა. 12 საათიდან, როდესაც ყაზანის ტაძარში წირვა გამოვიდა, ნევის პროსპექტის ტროტუარზე პოლიციის ხიდიდან დაწყებული სადოვოი ქუჩამდე ხალხმა შესამჩნევად იმატა. მოსეირნეთა შორის განსაკუთრებით მრავლად მოსჩანდა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტობა და დედათა კურსების მსმენელნი. ეს ახალგაზრდობა, როგორც ეტყობოდა, აღელვებული იყო, აქა-იქ ტროტუარზე იკრიბებოდა და გამვლელ-გამომვლელთ ხელს უშლიდა. ამის გამო პოლიცია გაძლიერებულ იქნა. ნაშუადღევის პირველ საათზე მიხეილის ქუჩისა და ნევის პროსპექტის კუთხეში, „ევროპ. გოსტ."-თან, თავი მოიყარა დიდ-ძალმა ხალხმა; ჯერ დაიწყეს სიმღერა და მერე გაისმა: „გაუმარჯოს თავისუფლებას"! და სხვა. ამასთან ამერიალეს ორი წითელი დროშა სარევოლიუციო წარწერებით. დაუყოვნებლივ ამ ჯგუფისკენ, საითაც ყველა მხრიდან ხალხი მიეშურებოდა, გაიგზავნა ცხენოსანი და ქვეითა პოლიცია და ჟანდარმთა დივიზიონი. ამათ დაგრეთვე გამოწვეულმა მეეზოვეებმა ხალხი რამდენსამე წუთში გაჰფანტეს და დააპატიმრეს ისინი, ვისაც დროშები ეჭირა და ვინც ამ უკანასკნელთ ახლდა. ერთ დაჭერილ მუშას აღმოაჩნდა გატენილი რევოლვერი. პოლიციამ ორი დროშა წაართვა ხალხს, სამიც ნახა იქ, სადაც არეულობანი მოხდა. ასეთივე ამბავი მოხდა ნაშუადღევის მეორე საათის მიწურულში რომას-კათოლიკეთა წმ. ეკატერინეს ეკკლესიასა და საპოლიციო ხიდთან. დემონსტრანტების მეცადინეობამ უნაყოფოდ ჩაიარა. პოლიციამ წაართვა ხალხს ყველა წითელი დროშა. ასეთი დროშა ათი აღმოჩნდა. უწესოების ჩაქრობის დროს აღნიშნულ ადგილებში ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა შეჩერებულ იქნა, რადგან დემონსტრანტები ვაგონებზე ადიოდნენ. ეტლების მიმოსვლა-კი არ შეწყვეტილა. ნაშუადღევის მესამე საათისთვის წესიერება ყველგან აღდგენილ იქნა, ხოლო, მეოთხე საათისთვის მოძრაობამ ნევის პროსპექტზე ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო. ცხენოსან პოლიციის რაზმები ტროტუარის ორსავე მხარეს საღამომდე დადიოდნენ და წესიერებას თვალ-ყურს ადევნებდნენ. დემონსტრანტების გაფანტვის დროს უკანასკნელნი ჯოხებით წინააღმდეგობას უწევდნენ პოლიციას, რის გამო პოლიცია იძულებული გახდა ხმლები ეძრო, მაგრამ ცემის დროს სიპტუჯზე სცემდნენ. ამის წყალობით უწესოების დროს არავინ მომკვდარა, არც დაშავებულა, მძიმედაც არავინ დაჭრილა. ჩაწერეს 42 კაცი, რომელნიც დაშავდნენ. მაგრამ უთუოდ იყვნენ ისეთი დაშავებულნიც, რომელნიც შინ წავიდნენ. დაშავდნენ ცხენოსანთა დარაჯის ერთი აფიცერი (ჯოხი მუხლში მოხვდა), ოთხი პოლიციელი და ოთხი მეეზოვე. დაშავებულთ მკურნალებმა შეწევნა აღმოუჩინეს ჯერ ადგილობრივ, მერე სამკურნალოებსა და ობუხოვის საავადმყოფოში. ექიმებისა და სამკურნალო ინსპექტორის აზრით, დაჭრილნი მცირედ არიან დაშავებულნი, მხოლოდ ორ სტუდენტს, რომელნიც ობუხოვის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, თავი გატეხილი აღმოაჩნდა. ექიმების სიტყვით, ეს ჭრილობები ხმლის ყუისაგან არის. ორივე დაჭრილი შეხვევის შემდეგ შინ წავიდა. საზოგადოდ საავადმყოფოში არც ერთი დაშავებული არ დარჩენილა. უწესოების დროს დროებით შეპყრობილ იქნა 132 კაცი; აქედან 88 სტუდენტი იყო. ყველას პოლიციაში ჩვენება ჩამოართვეს და მერე გაანთავისუფლეს. ამას გარდა უწესოებებში მონაწილეობის მიღებისთვის შეიპყრეს 48 კაცი, ამათში 32 სტუდენტი და ხუთი უმაღლეს კურსების მსმენელი ქალი იყო. ცხრა სისხლის სამართალში იქნება მიცემული, ხოლო დანარჩენნი, ოქმების შედგენის შემდეგ, იმავე დღეს საღამოთი გაანთავისუფლეს".

## ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნატორმა გუშინ ოფიციალურად შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ მთავარ-მართებელმა დაამტკიცა ქალაქის მოურავად ქ. ა. ვერმიშევი. ბ-ნ ვერმიშევს პეტერბურგიდან ამ დღეებში მოელიან.

◆ 27 ნოემბერს **ხაშურში დაუჭრიათ** სურამის ნაწილის [illegible] ტანნენბერგი. როგორც „ნ. ო." გადმოგვცემს, ბოქაული დარაჯებთან ერთად ქუჩაში მიდიოდა საღამოს 8 საათზე. ერთის ადგილიდან სროლის ხმა გაუგონიათ. ბოქაული მიტრიალებულა იქით და ამ დროს მეორედ და მესამედ გავარდნილა თოფი. ბოქაული ორ ადგილას დაჭრილა—თეძოში (ტყვია მეორე მხარეს გავარდნილა) და ხელში. ბოქაულსაც დაუწყია სროლა, ხოლო ერთი დარაჯი გაქანებულა იქით, საიდანაც ისროლიათ, მაგრამ გზაში წაქცეულა და არხში ჩავარდნილა. ამ დროს მსროლელი გადამძვრალა ღობეზე და დამალულა. ბოქაულს გული შეჰლონებია, ამიტომ საავადმყოფოში წაუყვანიათ.

◆ ამას წინად ჩრდილოეთ კავკასიაში ქალაქ გროზნოში **ყაჩაღები თავს დაეცნენ** სალდათების პატრულს. სროლის დროს მოჰკლეს სალდათი ბრიკუნენკო და დასჭრეს ზიაკინი. როგორც „ტ. ვ."-ი გადმოგვცემს, კავკასიის უმაღლეს მთავრობას დაუდგენია, გამოართვას სოფელ კატილიურტის მცხოვრებთ 1,500 მანეთი და აქედან 1000 მანეთი მოკლულის ოჯახობას მიეცეს, ხოლო 500—დაჭრილს.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის ქალაქის საბჭომ 3 ივნისს დაადგინა, **თვითმმართველობის დაწესებულებათა მოხელეებს** პირველ 15 წლის სამსახურისათვის მოემატოთ 10%. გუშინ გუბერნატორმა შეატყობინა მოურავის მოადგილეს, რომ მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა უკვე დაამტკიცა საბჭოს ეს დადგენილებაო.

◆ ამას წინად უკვე ვწერდით, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს, **ნავთლუღში ქალაქის ადგილი ნაჭრებად დაჰყოს** და იჯარით გასცეს. ქალაქის ადგილების გამგე კომისიის აზრით, ამ ადგილს დიდი მომავალი აქვს, რადგან რკინის გზა ჰფიქრობს საქონლის სადგური დიდუბიდან ნავთლუღს გადაიტანოს. გადავა საწყობები, ცეხჰაუზები და აგრეთვე სამხედრო სადგური.

◆ წელს გორის მაზრიდან **სამხედრო სამსახურში** გაიწვიეს 2229 ყმაწვილი. მიიღეს 811. ერთის წლით გაანთავისუფლეს—85; სრულებით გაანთავისუფლეს—74, არ გამოცხადდა კენჭის ამოსაღებად—224 კაცი.

◆ რამდენიმე მეურნისაგან წერილები მოუვიდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. მეურნენი სწერენ, შევიტყეთ, რომ 1905 წელს ბელგიაში იმართება **სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა** და, რადგან გვსურს მონაწილეობა მივიღოთ, შეგვატყობინეთ, როდის, სად და ვის უნდა გავუგზავნოთ გამოფენისათვის ჩვენი ნაწარმოებნიო.

◆ 30 ნოემბერს ტფილისის საგუბერნიო სამხედრო საკრებულოში მოხდა კრება ვიცე-გუბერნატორის თავმჯდომარეობით. **გაირჩა საჩივრები** თელავის მაზრიდან სამხედრო სამსახურში გაწვეულ ყმაწვილ კაცებისა, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ სამაზრო საკრებულოს შემოწმებით. ექიმების თანადასწრებით გაისინჯა 3 ყმაწვილი. 1 მიიღეს სამსახურში, ერთის წლით შეღავათი მისცეს 1, საავადმყოფოში გაიგზავნა ერთი; დუშეთის მაზრიდან გაისინჯა ერთი და გაიგზავნა საავადმყოფოში. დანარჩენნი იყვნენ ტფილისის ნაწილისა და სიღნაღის მაზრისა, სულ გაიგზავნა 18, 9 მიიღეს, ორი გაანთავისუფლეს.

◆ **ცნობები ხოლერის შესახებ.** ბაქოს 26 ნოემბერს ავად გახდა ხუთი, მოკვდა ერთი. ბალახანში ავად გახდა სამი, მოკვდა ერთი. 27 ნოემბერს ბაქოში ავად გახდა სამი, მოკვდა ორი. ბალახანში ავად გახდა ერთი, მოკვდა ერთიც. სოფელ არალიხ-ბაშკენდში (სურმალინის მაზრა) ავად გახდა თორმეტი, მოკვდა რვა. 28 ნოემბერს სადგ. საგორს ავად გახდა ნავთის მილზე მომუშავე, რომელიც აჯიქაბულის ბარაკში გაიგზავნა

◆ როგორც გვატყობინებენ, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში არსებული ლიისის მღვთის **მშობლის ეკკლესია** ვიღაც უცნობ პირებს 23 ნოემბერს ღამე გაუტეხიათ და მოუპარავთ: გარდამოსხნა, კრეტსაბმელი, შანდლები, 4 გირვანქა წმინდა სანთელი, 5 გირვანქა ნამწვი, საეკკლესიო დოკუმენტები, მეტრიკის წიგნი ამ წლისა და საეკკლესიო ქონების აღწერილობა, სანთლის დავთარი, შემოსავალ-გასავლის წიგნები 1900, 1902 და 1903 წლებისა, ზოგ დოკუმენტებიდან ფურცლებია ამოხეული.

◆ გუშინ, 30 ნოემბერს, ბაქო-ბალაჯარის რკინის გზით შორეულ აღმოსავლეთში გაემგზავრა **მეორე დასი მოწყალების დათა**.

◆ **აკაკის სახელობის ფონდის** სასარგებლოდ ჩვენმა რედაქციამ წიგნის მაღაზიის „ცოდნა"-საგან მიიღო ერთი თუმანი.

◆ მუხრანის **ხიდის** 4 გეგმის გასასინჯავად სპეციალისტთა სხდომა დაინიშნა 14 დეკემბრისათვის. გამგეობამ ამ სხდომისთვის მიიწვია ინჟინრები აკორონკო, ნოვომეისკი, კონრანსკი, ვურცელი და შლიტტერი.

◆ ქალაქის **ადგილების იჯარით** გამცემმა კომისიამ დაამთავრა შემუშავება იმ ხელშეკრულობის პროექტისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მიწების გაცემის დროს. იჯარის ვადა იქნება 24 წლიწადი. ადგილები გაიყოფება სამ კატეგორიად. ფასი იქნება 20-დან 40 კაპეიკამდე. ადგილები გაიცემა კენჭის ყრით.

◆ ტფილისის **გუბერნატორის** ავადმყოფობის გამო მისი თანამდებობის ასრულება მიენდო ვიცე-გუბერნატორს.

◆ გუშინ, 30 ნოემბერს, ტფილისის **სახულიერო სემინარიაში გაიმართა წლიური აქტი** წმ. ანდრიას სახელობაზე არსებულ ეკკლესიის დღესასწაულის გამო.

◆ 3 დეკემბრიდან **სამტრედიაში დაიწყება** ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიის სხდომები სხვა-და-სხვა საქმის განსახილველად.

◆ ტფილისის პოლიციის მე 8 ნაწილის ბოქაულმა შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ არსენალის გორის ქვემოდან გამოხეთქა წყარომ, რომელიც იმდენად დიდია, რომ ეკატერინეს ქუჩიდან რიყის ქუჩაზედ მიდის, მტკვარში ჩადის და ქუჩებს ლეკავს. ბოქაული სთხოვს გამგეობას, გაუგზავნოს სპეციალისტი, რომ ქუჩების დასაცველად ზომები მიიღოს.

◆ როგორც „კავკ."-ს დეპეშით ატყობინებენ, ახალ-ქალაქის მაზრის უფროსი დუბინინი დაინიშნა ტფილისის საგუბერნიო სამხედრო საქმეთა საკრებულოს მუდმივ წევრად. ქუთაისის საკრებულოს მუდმივ წევრად დაინიშნა რატიანოვი.

◆ ტფილისის პოლიციის მე-6 ნაწილის ბოქაულმა შეატყობინა გუშინ ქალაქის სასანიტარო კომისიის თავმჯდომარეს, რომ სურფ-სარქისის ქუჩაზედ მეხაზრები სეიდა სეიდოვის 14 წლის ქალი 29 ნოემბერს საეჭვო ავადმყოფობით გახდა ავადაო. ავადმყოფი გაიგზავნა ქალაქის გადამდებ სენით სამკურნალოში.

◆ ამ ბოლო დროს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახალხო მატარებლებში ძლიერ გახშირდა მგზავრების ცარცვა. 29 ნოემბერს, მაგალითად, ავჭალასა და ტფილისს შუა (მატარებელ № 5) ერთ მგზავრს აცალეს სავსე ჩემოდანი.

◆ თიანეთის მაზრის სოფელ [illegible] არსდება ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა.

◆ 29 ნოემბერს, ღამე, პოლიციის 1 ნაწილში ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს გაუტეხიათ გოლოვინის პროსპექტზე ამირალოვის სახლში ივანე ხანგანზოვის საფეიქრო მაღაზია. ქურდებს ფანჯარა გამოუმტვრევიათ და წაუღიათ 150 მანეთის ნივთები. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს მაღაზიის ყოფილ მოსამსახურეზე გრიგოლ გუკასოვზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

◆ ნავთლუღის დარაჯს ფარსადანოვს 28 ნოემბერს ცხენი [illegible] გაუხდა ავად. ბეითალმა ცხენი გასინჯა, მოაკვლევინა და შორს მინდორში დაამარხვინა.

◆ 28 ნოემბერს პოლიციის მე-6 ნაწილში დაიჭირეს სედრაკ მანუკოვი, რომელსაც დაემზადებინა ყალბი ბილეთები ძმ. ნიკიტინების ცირკისა და ასაღებდა ვაჭარ თათრებ შორის. მანუკოვი არწმუნებდა მყიდველებს, 1905 წელს 18 მარტს ნიკიტინის ცირკში შორეულ-აღმოსავლეთში დაჭრილ ჯარის კაცთა სასარგებლოდ წარმოდგენა გაიმართება და ბილეთები ეხლავე შეიძინეთო. მანუკოვი პასუხის გებაში იქნა მიცემული.

◆ ხელ საქმის მაღაზიის პატრონმა, მასწავლებელმა ქალმა, ევგენია იაკობიმ შეატყობინა 29 ნოემბერს პოლიციას, რომ ჩემმა მოსწავლემ ანნა შუჩკინმა მომპარა აბრეშუმის ქსოვილები და სხვა ნივთები სულ 56 მან. 60 კაპ. პოლიციამ მოპარული ნივთები აღმოაჩინა შუჩკინის მეგობარ ქალის ზელდა ლევინის სახლში მუხრანის ქუჩაზე. ლევინისამ განაცხადა, შუჩკინი ტფილისიდან წავიდა და ეს ნივთები შესანახად მომაბარაო.

◆ გუშინ, 29 ნოემბერს, მეათე ნაწილში გოგოლის ქუჩაზე, ლუცკოს სახლში, საღამოს ექვს საათზე გაუტეხიათ ოზურგეთის მოქალაქის შალიკო ცინცაძის ბინის ფანჯარა და გაუტანიათ სხვა-და-სხვა ნივთები 200 მანეთისა, მასთან ორი ჩემოდანი, სავსე ნივთებითა და სხვა-და-სხვა დოკუმენტებით, აგრეთვე პასპორტის წიგნაკი შალიკო ცინცაძისა და მისი შვილის კლემენტისა. ადგილობრივ პოლიციამ მიიღო ზომები ქურდების აღმოსაჩენად. ქურდებს დარჩენიათ რკინის სატეხი და სხვა ხელ-საწყო.

◆ სად. განჯა. 28 ნოემბერს, როდესაც მატარებელმა № 17, გაიარა მე-472 ვერსზე, ლიანდაგის დარაჯს მამედ-ჯაფარ-კულის თავს დაესხა ორი შეიარაღებული კაცი და რამდენსამე ადგილას დასჭრეს ხანჯლით. დაშავებულმა განაცხადა, ერთი იმათგანი ის არის, რომელმაც 2 ნოემბერს დასჭრა უფროსი [illegible] პასიევი. დაშავებული ტფილისის [illegible] მიმალულან.

◆ სად. ქურდამირი. 29 ნოემბერს იაკობ პაპიევი სახლში მატარებლიდან № 6 გადმოხტა და მარჯვენა ფეხი დაიმტვრია. დაშავებული ბაქოს საავადმყოფოში გაგზავნეს.

---

# ფელეტონი

## რუსეთის ცხოვრება

ახალი კილო, ახალი შინ და გაბედულება რუსულ საზოგადოებრივ აზრისა ყველასათვის ცხადი და თვალსაჩინოა. ყველა გამხნევებული და იმედიანია, ყველა დარწმუნებულია, რომ „უკან დაბრუნება შეუძლებელია" და ამ დროს თ. მეშჩერსკი აცხადებს საქვეყნოდ, რომ მას შეუძლია პასუხი მისცეს „გრაჟდანინის" ერთ-ერთ შეშინებულ მკითხველს:

„შინაგან საქმეთა მინისტრმა ნდობა გამოუცხადა საზოგადოებრივ დაწესებულებათ, განსაკუთრებით ერობას, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მინისტრის სურვილი იყოს—ამ დაწესებულებათ მოითხოვონ არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლა. ახალ მინისტრის მიერ გამოცხადებული ნდობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მთავრობის მიერ განზრახულ მიზნის განხორციელებას ხელი შეუწყოს საზოგადოებამაც.

მართალია, ეხლა მეტი თავისუფლებაა სიტყვისა. მაგრამ ტყუილია, ვითომ მთავრობა, რომელიც [illegible], თანაუგრძნობდეს ყველა იმ უნიადაგო ლიბერალურ სურვილებს, რომლებსაც დღეს მწერლობა გამოსთქვამს.

კიდევ უფრო ტყუილია ის ხმა, ვითომ მთავრობა თანახმა იყოს იმ ნდობისა და სხვათა აზრის შეწყნარებისა, რომლებსაც ასე უკუღმართად ხსნიან უნიადაგო ლიბერალები

ტყუილია, ვითომ მთავრობას განზრახვა ჰქონდეს მოსპოს საერობო უფროსები ან შეამციროს მათი უფლებანი. ტყუილია, ვითომ გუბერნატორებს შეგნებული ჰქონდეთ დაუთმონ საზოგადოებრივობის მოთხოვნებს.

ტყუილია აგრეთვე ის ხმა, ვითომ ყველა ის სარეფორმო მუშაობა, რომელიც ფონ-პლევეს დროს იყო დაწყებული, ეხლა შეჩერებული იყოს.

ერთის სიტყვით, თუ თავად მეშჩერსკის დავუჯერებთ, და ხშირად მისი ამგვარი წინასწარმეტყველება გამართლებულა კიდეც, გაზაფხულის მოტრფიალენი მართლა უნიადაგონი ყოფილან და არავითარი ცვლილება მოსალოდნელი აღარ არის.

—

თავად მეშჩერსკი მარტო როდი არის: თანამგრძნობი, საქმით თუ სიტყვით, მასაც ჰყავს. „რუსკია ვედომოსტი" შემდეგ ამბავს გვატყობინებს ნიჟეგოროდის გუბერნიიდან: ლუკოიანოვის სამაზრო კრებამ დაადგინა—შევწყვიტოთ ჟურნალ „პრავო"-ს გამოწერა, რადგან ამ ჟურნალის მიმართულება „შესაფერი" არ არისო.

ასეთი დადგენილება უფრო შიშის, სიმხდალის მომასწავებელია და მაშასადამე დამდგენელი ნამდვილ ძალის პატრონად ვერ ჩაითვლება, მაგრამ სანამ ამ გარეგან ძალის სრული სიყალბე გამომჟღავნდებოდეს და დამტკიცდებოდეს, ბევრს ტყავი ძვრება.

—

„მოსკოვსკია ვედომოსტი"-ს წერილების კილოს ამ რამდენიმე დღის წინად მეტი სასოწარკვეთილება და უიმედობა ეტყობოდა: მართალია, მრისხანებდა და მძვინვარებდა, მაგრამ ეს მრისხანება უფრო უკბილო და უღონო ბებრისა იყო. ეხლა კი უფრო მშვიდი კილო ეტყობა მის ლაპარაკს; იგი ამბობს: „როგორ ძლიერი სურვილი არ ჰქონდეს, როგორის უსინდისობით არ უნდა ეცადოს თავის „უაზრო ოცნებათა" განხორციელებას ინტელიგენტის უმნიშვნელო პაწია წრე, იგი ვერ შესძლებს შესცვალოს ათას წლოვანი სახელმწიფო წეს-წყობილება რუსეთისა".

სულ ცოტად დაკვირვებული მკითხველიც კი მიხვდება მოსკოვურ გაზეთის მსჯელობის სიყალბეს, რადგან მისი შეხედულება პირდაპირი უარისყოფაა საზოგადოებრივ თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერების სულ ელემენტარულ ჭეშმარიტებისა—სიძველე რომელიმე მოვლენისა სრულიად არ არის საბუთი მისი სიკარგისა თუ ეხლანდელ ცხოვრებასთან შეხამებისა; პირიქით, ეხლა უეჭველი ჭეშმარიტებაა, რომ თუ მოვლენა მართლა უცვლელი ყოფილა ათასის წლის განმავლობაში, ეს უცვლელობა ხელოვნურად, ბუნების კანონების წინააღმდეგ არის მოხერხებული და არც ერთი ჭკუათა მყოფელი არ მიიღებს სიძველეს რომელიმე მოვლენის სამართლიანობის დასამტკიცებლად.

მოსკოვურ გაზეთს, გარდა ასაკისა, სხვა საბუთებიც აქვს ძველის შენახვისა და ახალ „გაზაფხულის" წინააღმდეგობისა. აზნაური სერგეი ნილუსი სწერს: სანამ ერის ერთი ნაწილი ჰყვირის და მღელვარებს „გაზაფხულის" მოლოდინში, რუსეთის სიღრმეში უკვე დაიწყეს მოფრენა მერცხლებმა, რომელთა დანახვა უეცრად მიუდგომელ დამკვირვებელს შიშის ძრწოლას გვრის. ისე დღე არ გადის თითქმის, რომ მწერმეტყველურად გამოცხადებულმა სინდისის თავისუფლებამ თავი არ იჩინოს ისეთ საზარელ მოვლენის სახით, რომლის წინაშე შორეულ აღმოსავლეთის საშინელებანიც კი არაფრად სჩანს.

რა უნდა იყოს, მკითხველო ამ მართლა და საშინელ [illegible] უსაზარლესი?

ივლისში ყაზანში გაძარცვეს ქალების მონასტერი და მიიპარეს უდიდესი სიწმინდე მართლმადიდებლობისა—ღვთისმშობლის სასწაულთ-მოქმედი ხატი; აგვისტოსა თუ სექტემბერში ორლოვის გუბერნიაში გაძარცვეს ეკლესია და მოჰკლეს დარაჯი; ნოემბერში ასეთივე საშინელება მოხდა ხარკოვის გუბერნიაში; 15 ნოემბერს, ღამე, ნიჟნი ნოვგოროდში ორი ავაზაკი თავს დაეცა ყოვლად სამღვდელო ისიდორეს და თავში დაარტყეს და სხვა.

აზნაური სერგეი ნილუსი ამტკიცებს, რომ ყველა ეს ამბავი არის შედეგი „გაზაფხულის" მოახლოების გამო ატეხილ აურ-ზაურისა. „შემდეგ რაღა უნდა იქნეს? რაღა მოხდება, თუ ჩვენ, ხალხსა, მხეცისებურ [illegible], დაიწყებენ [illegible] ამ „განთიადზე", ამ „გაზაფხულზე"? [illegible] დეპუტატ მ. ბ. კოტკოვისა—„ღმერთო ფეხზე წამოდგით: მთავრობა მოდის"!

მიდი და ნუ შეუშინდები „განთიად-გაზაფხულის", როცა მას ასეთი საშინელი თანმხლებლები ჰყავსო, როგორც [illegible] და ძარცვა-რბევა. [illegible]

და როგორ არ აღშფოთდეს აზნაური სერგეი ნილუსი, როცა [illegible] ეკატერინოდარში მომხდარა: 10 ნოემბერს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ბ ა თ უ მ ი. 28 ნოემბერს მანევრების დროს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს ალექსი ტრეტიაკოვს უნდოდა ლიანდაგი გადაევლო, მაგრამ მატარებელმა მოასწრო და ორივე ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული ბათუმის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ სად. გ ო რ ი. 28 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, როდესაც სახალხო მატარებელმა № 3 დაიძრა, ჟანდარმს რაჟკოვს ვიღაცამ ხელი ჰკრა, ცალი ფეხი ჩაუვარდა რელსებზე და მატარებლის თვლებმა რამდენიმე თითი დაუშავა.

◆ ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალაშვილის მეეზოვეს იჩხანოვისათვის ქურდს მოუპარავს 8 მანეთის ნივთები.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში 12 საათზე პოლიციელებმა დააპატიმრეს ტფილისის მოქალაქე პეტრე კრუშინსკი, რომელსაც რკინის გზის სამმართველოს ერთი მოსამსახურისათვის პალტო მოეპარა და მიჰქონდა.

# ქალაქის საქმეები

29 ნოემბერი

ტფილისის ქალაქის საბჭოს 29 ნოემბერს კრება არაფრით განირჩეოდა წინანდელ კრებებისაგან. ამ საღამოსაც ჩვეულებრივ ბევრი ლაპარაკი და ცოტა საქმიანობა იყო, როგორც თითქმის ყოველთვის. კრება დაიწყო ხმ. ა. ხატისოვის შეკითხვით: გამგეობას საელექტრონო სადგურის შესახებ მოხსენება სექტემბერში უნდა წარმოედგინა და აგერ დეკემბერიც იწყებაო. თავმჯდომარემ აცნობა, გამგეობას პაპკოვისეულ ადგილის მოსამზღვრეებთან მოლაპარაკება აქვს და როცა მოლაპარაკება დასრულდება, მოხსენებასაც წარმოვადგენთო. ხმ. სულხანიშვილმა განაცხადა, ამ ჟამად გოლოვინის პროსპექტზე ხეების გადარგ-გადმორგვაა, ვთხოვ გამგეობას, განგვიმარტოს, ვისი განკარგულებით ხდება ესაო. ამასთან ხმოსნის აზრით, საჭიროა პროსპექტზე სახლების პატრონებმა ქვაფენილები გააფართოვონ და გადააკეთონ. განმარტეს, რომ ძველი ხეები დალპა და გაფუჭდა და ეხლა ახლებსა ჰრგვენ. რაც შეეხება ქალაქის ქვა-ფენილების გაუმჯობესებას, ამისათვის საჭიროა ფული მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში იქმნეს შეტანილი. ხმ. ნ. ხუდადოვმა მოითხოვა პასუხი თავის წინანდელ განცხადებისა: როდის დაასრულებს უსახელო საზოგადოება ქუჩების შესწორებას, ძველის ლიანდაგის აღებას და როდის დაიწყებს ელექტრონით მოძრაობასო. ამ საგნის გამო კამათი ასტყდა, მაგრამ ვერა გამოირკვა რა, ბოლოს თავმჯდომარემ განაცხადა, განსაკუთრებულ კრებას დავნიშნავთ და მაშინ მოვისაზრებთ როგორ მოეწყოს ეს საქმე, ელექტრონის ვაგონების მოძრაობა კი მანამდე არ შეიძლება, სანამ ქუჩები წესიერად არ გაიწმინდება და საგუბერნიო მთავრობა ნებას არ დართავსო.

მიმდინარე საქმეთაგან საბჭომ განიხილა მოხსენება ხმ. ქრელაშვილისა და ბაბოვისა—აღიძრას შუამდგომლობა სრულიად რუსეთის ქალაქის მოურავთა კრების შესახებ. ხმ. ბაბოვმა განაცხადა, შუამდგომლობა აღვძრათ ეხლავე, ამასთან ავარჩიოთ დიდი კომისია, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს საქალაქო დებულება, აღნიშნოს ნაკლულევანებანი და შეიტანოს შიგ საჭირო ცვლილებანი. ზოგიერთ ხმოსნებმა სთქვეს, უმჯობესი იქმნება კავკასიის ქალაქების თვითმმართველობებმა დამოუკიდებლად აღძრან შუამდგომლობა საქალაქო დებულების გადათვალიერებისა და შესწორების შესახებაო. რადგან გამოირკვა, რომ მასკოვის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა უკვე წარუდგენია უმაღლეს მთავრობისათვის, ტფილისის საბჭომ შემდეგ დაადგინა: დამოუკიდებლად აღძრას შუამდგომლობა; მიენდოს ქალაქის ყველა კომისიების წევრთაგან შემდგარ საერთო კომისიას საქალაქო დებულების გადათვალიერება და საჭირო ცვლილებათა შესატანად მოხსენების შემუშავება; სთხოვოს კავკასიის ქალაქის საბჭოებს მიემხრნენ ტფილისის საბჭოს გადაწყვეტილებას დამოუკიდებელ შუამდგომლობის აღსაძრელად.

დაუსრულებელი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ ავლაბარში თუმანოვის ადგილის შეძენის შესახებ ქალაქის სამკურნალო დაწესებულებათათვის ადგილის გასაფართოებლად. გამგეობამ სამი ადგილი დაუსახელა საბჭოს, რომელნიც შეეძლო დაეთმო თუმანოვისათვის. საბჭომ შეუძლებლად სცნო ადგილის გაცვლა და დაადგინა, 3000 საჟენ მიწაში 21.000 მან. მიეცეს თუმანოვს.

ამას წინად ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა სთხოვა საბჭოს, ავლაბარსა და დიდუბეში სადგომები დაგვიქირავეთ, 2000 მან. მოგვეცით და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებს გავხსნითო. საბჭომ უარი გამოუცხადა ჯერ ერთი უსახსრობის გამო და მეორეც ქალაქის ამ ნაწილებში ელექტრონის ძალით იმოქმედებს ვაგონები და მცხოვრებთათვის ისე შორს არ იქნება საფოსტო დაწესებულებანიო.

დასასრულ საბჭომ ქუჩების მომკირწყლელ კომისიის თავმჯდომარედ აარჩია ხმ. ა. ი. ხატისოვი.

# პრესსა

ყველა, ყველა, მაგრამ ვართ კი „დამწიფებული“ ახალ ცხოვრებისათვისო?—ჰკითხულობს თურმე ზოგი ღრმა-აზროვანი პოლიტიკოსი. მშვენიერს, შესაფერ პასუხს აძლევს ამ ფილოსოფოსებს ვ. მ. გესენი:

> ხშირად გველაპარაკებიან რუსეთის საზოგადოების პოლიტიკურ გაუწვრთნელობაზე, მაგრამ ვინ, თუ არ ცენზურაა ამ გაუწვრთნელობის მიზეზი? განა მთელი დანიშნულება ცენზურისა ის არ არის, რომ წინააღუდგეს პოლიტიკურ აზრის თავისუფალ გამოთქმას, დაიცვას ხალხის „წმინდა გულუბრყვილობა“ პოლიტიკურ იდეების გამრყვნელ გავლენისაგან.
>
> ჩვენ ვიცით, რად არ მოვმწიფდით და ისიც ვიცით, როგორ უნდა მოვმწიფდეთ. არ მოვმწიფდებით, სანამ საზოგადოებას შეძლება არ ექნება გავლენა იქონიოს სახელმწიფოს საკანონმდებლო და საგანმგებო მოქმედებაზე.

გაზეთ „რუს“-ს მოჰყავს გესენის წერილიდან ეს ადგილი და თავის მხრივ უმატებს: მეტის განმარტებისათვის კანტის აფორისმი მოგვყავსო—ხალხს ეპირვება თავისუფლება, რომ თავისუფლებისათვის დამწიფდესო.

⁂

პოლიცია თუ ვერ ასრულებს შესაფერისად თავის მოვალეობას, ამის მიზეზი ის არის, რომ ჯამაგირი ცოტა აქვთო, ამბობენ ზოგიერთები.

სლოვო-გლაგოლი „პეტერბურგსკაია ვედომოსტი“-დან არ ეთანხმება ამ აზრს. პოლიციაზე და პოლიციელებზე რომ ფული იხარჯება, საერო განათლების სამინისტროს თვალითაც არ უნახავს და კიდევ გვეუბნებიან—ფული, ფული მოგვეცი და საქმეც კარგად წავაო.

> ვინ გამოსთქვა პირველად ის აზრი, ვითომ ჯამაგირის სიდიდისაგან იყოს დამოკიდებული მოვალეობათა სინიდისიერად ასრულება? ეგ არ ვიცი, მაგრამ ძალიან კი შევითვისეთ იგი და მზადა ვართ ერთნაირად განვსაჯოთ ცუდი მოხელე და ბოსიაკი. მშიერმა შიმშილის გამო ჩაიდინა ქურდობა, მოხელეს პატარა ჯამაგირი ჰქონდა და ქრთამიც იმიტომ აიღო.
>
> ნამდვილად კი ეს ერთი და იგივე სრულიადაც არ არის. ამბობენ, რომ სტანის ბიჭაულს სულ 960 მანეთი ჯამაგირი აქვს და ეს ძალიან ცოტა არისო. თუ სოფლის მასწავლებლისათვის 25 მანეთი საკმარისად ითვლება (ხან-და-ხან უფრო ნაკლებიც), რად არის ცოტა 960 მანეთი? ავიღოთ მეორე უწყება, ფოსტა-ტელეგრაფისა: ზოგს კანტორის უფროსს 20—30 მანეთი აქვთ თვეში... და მერე სად არის, რომ მასწავლებელი და ფოსტის მოხელე კეთილსინიდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას?

მასწავლებელი გარდა თავის პირდაპირ მოვალეობისა საღამოს და საკვირაო სკოლებს მართავს და ჯამაგირით კი პრისტავთან შედარებით ნამდვილი მათხოვარია. ბ. სლოვო-გლაგოლი შემდეგ თავის დაკვირვებას გვატყობინებს:

> ერთ ქალაქში მივედი და ვსტკბებოდი უბნის ზედამხედველების (ოკოლოდოჩნი) გარეგნობით: ძვირფასი პალტო, მბრწყინავი ჩექმები, თოვლივით თეთრი ხელთათმანები; სახის გამომეტყველება მხიარული, მხნე და გამარჯვებული; თითს ასწევდნენ თუ არა, ყველას ესმოდა, რომ გაჩერება არ შეიძლებოდა.
>
> მე-კი ვიცოდი, რომ ეს გამარჯვებული დამპყრობელი მხოლოდ 30 მანეთს იღებს თვეში. მარტო პალტო ღირს ორი თვის ჯამაგირი. საიდან უნდა იყოს ესა?
>
> რაც გავიგე, ზოგიერთების აზრით, განსაცვიფრებელი რამ არის. აღმოჩნდა, რომ უბნის ზედამხედველი არა თუ თვითონ ცხოვრობს კარგად, სხვებსაც აცხოვრებს. პოლიციიდან რაღაც ქაღალდები მომიტანა ერთმა პატარა მოხელემ და თავი ასე გამაცნო.
>
> — გადამწერელი ბატონ უბნის ზედამხედველისა.
>
> — ძალიან კარგი!
>
> საზოგადოთ პოლიციას დიდ პატივს ვცემ და ვეფერები კიდეც. სკამი შევთავაზე ბატონ გადამწერელს და საუბარი გავმართე—ყოველ შემთხვევაში მაინც პროტექციაა.
>
> — მაშ, თქვენ უბნის ზედამხედველის გადამწერელი ხართ.
>
> — დიახ.
>
> უკაცრავად ამ კითხვისათვის, თქვენ სამსახურში ხართ?
>
> — თქვენა გსურთ გაიგოთ, რამდენ ჯამაგირს ვიღებ? ჩემი ჯამაგირი პატარაა—სულ 25 მ. თვეში.
>
> — მაშ თქვენ უფროსს სულ ხუთი მანეთი-ღა რჩება?
>
> მოსაუბრე ვერ მიხვდა ჩემ კითხვას და როცა ავუხსენი, გაეცინა და მითხრა:
>
> — ჩვენი უბანი ძალიან კარგია! 12 ათასამდე ვიღებთ.
>
> მე იმიტომ არ ჩავჯექ განცვიფრებისაგან, რომ უკვე ვიჯექ.
>
> გადამწერელმა თითებზე ჩამომითვალა საიდან რამდენი შემოდიოდა.
>
> — რას ბრძანებთ, ბატონო: ქალაქი მდიდარია! მარტო ურიები (ჟიდი) რად ღირან!..

ეხლა ერთი ეს მითხარითო,—განაგრძობს წერილის ავტორი,—რა მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებაში ჯამაგირის სიდიდეს, ან რამდენი უნდა მიუმატონ ჯამაგირი, რომ ასეთი ამბები არ ხდებოდესო?

მართლაც 12 ათასი ხომ ვერ დაენიშნება უბნის ზედამხედველს, რომ ქრთამის აღების მადა აღარ ჰქონდეს.

ალბად, რომელიმე ძალიან დიდი ქალაქია, მაგალითად, ადესსა, თორემ სხვაგან უფრო ნაკლებს სჯერდებიან..

## ქავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საყურადღებოდ

(წერილი რედაქციის მიმართ)

როგორც მოგეხსენებათ, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას ტფილისში თავისი საბაღოსნო სკოლა აქვს, სადაც სხვა სასწავლებლებიდან დათხოვნილნი და ხელ მოკლენი სწავლობენ. ამ სასწავლებელში უმწვიფარი კაცი ოთხ წელიწადს სასოფლო-მეურნეობას სწავლობს და ბოლოს, უკვე დავაჟკაცებული, ცხოვრებაში გამოდის. მისი უბედურებაც და უთავბოლო ხეტიალიც სწორედ ამ დროს იწყება. კავკასიაში რაციონალური სასოფლო მეურნეობა იმდენად დაბალ საფეხურზეა, რომ იმ ათიოდე ახალგაზრდა მეურნეს, რომელნიც საბაღოსნო სასწავლებელს ათავებენ, საქმე ვერ უშოვნიათ და, ვინ იცის, სად იკარგებიან, რით სცხოვრობენ და რას აკეთებენ. ხსენებული სასწავლებელი ბევრმა გაათავა, მაგრამ ამათგან ზოგი მღვდელია, ზოგი რკინის გზის მოხელე, ზოგი სავაჭრო კონტორაში ანგარიშებს სწერს, ზოგიც მაკლერია. მხოლოდ ორი თუ სამი კაცია, რომ სასოფლო მეურნეობას მისდევს და თავისსავე მამულში მუშაობს. ას მეურნიდან ათ კაცზე მეტი არ მისდევს თავის ხელობას, დანარჩენი, როგორც უკვე ვთქვი, ცხოვრებას ახლად იწყებენ და იმ ოთხ წელიწადს, რომელიც სასწავლებელში დაჰკარგეს, წყევლით იხსენიებენ.

ცხოვრების ახლად დაწყებაც ხომ ყველას არ შეუძლიან? უმეტესობა უსაქმოდ დადის გოლოვინის პროსპექტზე, მშიერ მწყურვალნი დადიან-დადიან და სამ წლობით ადგილს ეძებენ, მაგრამ რადგან ვერ შოულობენ, ცხოვრების ორმოში ცვივიან და იქ იღუპებიან. ორმა ადგილის ძებნისაგან თავი მოიკლა, ერთი სტრაჟნიკად არის, ზოგი ნოქრად და ზოგმაც თავისი დუქანი გახსნა. ამის შემდეგ რისთვის არსებობს სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი? რისთვის და რა აზრით ხარჯავს სამეურნეო საზოგადოება უთვალავ წლობით ამ სასწავლებელზე ათას მანეთებს?

თითქმის ყველა სპეციალურ დაწესებულებაში არსებობს ბიურო, რომელიც ადგილების შოვნასა და მათ გაწესრიგებას განაგებს. ჩვენში სასოფლო სამეურნეო საზოგადოება რატომ არა ფიქრობს ამაზედ? რატომ ერთხელაც არ დაუკვირდება, რომ მის მიერ აღზრდილი „მეურნენი“ უგზო უკვლოდ დაეხეტებიან და ბოლოს ან „სტრაჟნიკ“-ის მუნდირს, ან მღვდლის ანაფორას იცვამენ, თანაც, იმედ გადაწყვეტილნი, თავში ტყვიას იხლიან და წუთი სოფელს ესალმებიან. სამეურნეო საზოგადოების კრებებზედ არც ერთხელ არ აღუძრავთ ბიუროს გამართვის შესახებ ლაპარაკი. დრო-კი მიდის. სამეურნეო სასწავლებელზე ისევ ათასები იხარჯება და „მღვდლებსა“ და „სტრაჟნიკებს“ ახალ-ახალი წევრები ემატებიან. საზოგადოება ერთ რომელსამე გზას უნდა დაადგეს: ან სასწავლებელი დახუროს, ანაც სწავლა დასრულებულთ მოუაროს, ე. ი. ბიურო გამართოს, ადგილები მოსძებნოს და ეცადოს, რომ, თუ ყველას არა, უმეტესობას მაინც ჰქონდეს ისეთი სამუშაო, რომელსაც მისი ხელობა მოითხოვს. სწავლა დამთავრებულნი მეურნენი მთელის წლობით უსაქმოდ დადიან და თუ ადგილის საშოვნელად სამეურნეო საზოგადოებას მიჰმართავენ, არაფერი გამოდის, რადგან ეუბნებიან, ეგ ჩვენი საქმე არ არისო. რით განირჩევა ამ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოება ბიუროკრატიზმისა და ვიწრო ოფიციალურ მოვალეობისაგან?

დასასრულ, ხელ-მეორედ გკითხულობ, რას აპირობს სამეურნეო საზოგადოება? ნუ თუ კვლავაც ათასები უნდა ხარჯოს, ნუ თუ ამდენ ხალხს ოთხ-ოთხი წელიწადი უნდა დააკარგვინოს და ბოლოს მეურნენი ცივის ქარით გაასტუმროს ხოლმე. მართალია, საზოგადოება იურიდიულად მოვალე არ არის მეურნეთ ადგილები უშოვნოს, მაგრამ, ჩვენის აზრით, ზნეობრივი მოვალეობა კი ადევს იზრუნოს სკოლაში დამთავრებულთა ბედისათვის.

ლეხო.

# რუსეთის ქრონიკა

◆ 24 ნოემბერს ადესსაში ხალხით სავსე პრეობრაჟენსკის ქუჩაზე ვიღაცამ მძლავრად დაჰკრა თავში მიმავალ პოლიცეიმეისტრის თანაშემწეს. დაშავებულს დაუყოვნებლივ აღმოუჩინეს სამკურნალო დახმარება.

◆ ამ ჟამად პეტერბურგში შეკრებილნი არიან რუსეთის ყველა სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარეები და ბრალმდებელნი, რომლებიც, იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სენატის წარმომადგენელთა დასწრებით გამოარკვევენ, თუ რა წესით უნდა შემოღებულ იქნას 1904 წელს გამოცემული კანონი პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ.

◆ კიევიდან დეპეშით აცნობებენ „ნოვ. ვრ.“-ს, რომ ადგილობრივ წითელი ჯვრის გამგეობაში ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინეს. ომი რომ დაიწყო, კიევის წითელ ჯვრის გამგეობას ებრძანა გაეგზავნა ბრძოლის ველზე სასანიტარო რაზმი 200 ლოგინით. გამგეობის თავმჯდომარემ სუხომლინოვმა არც-კი შეატყობინა გამგეობას მიღებულ ბრძანების შინაარსი და თვითონ იკისრა ამ საქმის შესრულება: თავს იმით იმართლებდა, რომ სიჩქარის გამო დრო არა მქონდა სხვები გამერია ამ საქმეშიო. რევიზიამ აღმოაჩინა, რომ სუხომლინოვმა დანიშნულ 35 ათასი მანეთის მაგიერ 59 ათასი დახარჯა. სუხომლინოვმა ისე მოაწყო საქმე, რომ კანტროლი თავიდან აიცილა: საჩქაროდ გაჰგზავნა რაზმი შორეულ აღმოსავლეთში, ისე რომ კანტროლის გამართვა ვერ მოასწრეს.

◆ გამოქვეყნებულია ცნობები იმის შესახებ, თუ შედარებით სხვა-და-სხვა წლებში რამდენ კაცს დასწამეს რუსეთში პოლიტიკური ხასიათის დანაშაული. 1894 წელს,—919 კაცს, 1903 წელს-კი,—6,450 კაცს, რომელთა უდიდეს ნაწილს, 4,867 კაცს, სასჯელი მიაყენეს.

◆ „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, საქმე ამას წინად პეტერბურგში, ტენიშოვის ქუჩაზე, მომხდარ უწესოების შესახებ ადგილობრივ მომრიგებელ სასამართლოს გადაეცა განსახილველად.

◆ ვორონეჟიდან სწერენ გაზ. „ნაშა ჟიზნ“-ს, რომ 21 ნოემბერს ადგილობრივ სასტუმროს ზალა არა—ჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა. საღამოს მრავლად მოიყარა იქ თავი ვორონეჟის ინტელიგენციამ, რომელმაც მოისმინა ერთ საერობო მოღვაწის მოხსენება. მოხსენება რომ დასრულდა, საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა ორატორი. შემდეგ საუზმე გამართეს, რომლის დროს ბევრი საგულისხმიერო სიტყვა იქნა წარმოთქმული. დეპეშა გაუგზავნეს თავ. სვიატოპოლკ-მირსკის, რუსეთის ერობის ცნობილ წარმომადგენლებს და ვორონეჟიდან გადასახლებულ საზოგადო მოღვაწეთ: მარტინოვსა, შჩერბაკოვს და სხვ. ამას წინად გარდაცვლილ ცნობილ პედაგოგის ბუნაკოვის სახელს ფეხზე წამოდგომით პატივი სცეს.

◆ 22 ნოემბერს პეტერბურგის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სტახოვიჩისა და „გრაჟ.“-ის რედაქტორის თავ. მეშჩერსკისა. პირველი უჩიოდა მეორეს ცილის დაწამებას. არც თავ. მეშჩერსკი და არც იმისი ვექილი არ გამოცხადდნენ. სტახოვიჩის მხრივ იყვნენ ნაფ. ვექ. პლევაკო და მაკლაკოვი. „გრაჟდანინის“ მე-28 ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი, რომლითაც თავ. მეშჩერსკი ცილს სწამებდა სტახოვიჩს, რომ არა ლეგალურ ორგანოში, რომელსაც საზღვარ-გარედ ბეჭდავს ბ-ნი სტრუვე („ოსვობოჟდენიე“), დაბეჭდილი იყო სტახოვიჩის წერილი. მეშჩერსკი სწერს, სტახოვიჩს, როგორც გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, და, მაშასადამე, აზნაურს, არ ეკადრება ფარულად თუ ხილულად ითანამშრომლოს ისეთ ორგანოში, რომელიც ებრძვის რუსეთის ეხლანდელ მთავრობას და წეს-წყობილებასაო. თუმცა ბ-ნი სტრუვე ამბობს, რომ ამ წერილს ვბეჭდავთ ავტორის დაუკითხავად და ნებადაურთველადაო, მაგრამ თავ. ეს ჰგონია სტახოვიჩის მოხერხება და სრულებით არა სწამს, რომ წერილი იმისი გაგზავნილი არ არის. მოწმეებად იყვნენ ნაბოკოვი, (რედაქტორი „პრავო“-სი), ი. ვ. გესსენი, სტოლიპინი, არისტოვი (რედაქ. „ორლ. ვესტნ.“). ამათის წყალობით აიხსნა, რომ, დიახაც ბ-ნ სტახოვიჩმა დასწერა წერილი მთავრობის იმ უსამართლო, შემაძრწუნებელ მოქმედების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა შარშან რუსეთში. პოლიციის მოხელეებმა ერთი სარტი ბევრის ცემის შემდეგ მოჰკლეს. ეს პოლიციელნი გაამართლეს იმ მოსამართლეებმა, რომელთა რიცხვში სტახოვიჩიც ერია. სტახოვიჩი, რასაკვირველია, გამართლების წინააღმდეგი იყო. როდესაც ცენზორის სისასტიკის წყალობით სტახოვიჩის წერილი, რომელშიაც ჰკიცხავდა სასამართლოს და მთავრობას, „ორლოვსკი ვესტ.“-ში არ დაიბეჭდა, სტახოვიჩმა მიჰმართა „პეტ. ვედ.“-ს, „პრავო“-ს, მაგრამ ვერც აქ იხილა ამ წერილმა სინათლე. ამათვე სთქვეს, რომ ამ ამბის შემდეგ სტახოვიჩს სურვილი ჰქონდა საზღვარ-გარედ დაებეჭდა ეს წერილი, მაგრამ რომელ გაზეთში-კი, არ იცოდა. გამოირკვა აგრეთვე, რომ ეს წერილი, ჰექტოგრაფით გადაბეჭდილი, გავრცელდა ხალხში. ასე რომ ბ-ნ სტახოვიჩს შეიძლებოდა სრულიად არ სცოდნოდა, იმისი წერილი გავიდა თუ არა საზღვარ-გარედ და დაიბეჭდა. აგრეთვე მსაჯულებს წარმოუდგინეს წერილი თავ. ვოლკონსკისა, მიწერილი თ. მეშჩერსკისადმი, რომელშიაც პირველი ატყობინებს მეორეს, რომ სტახოვიჩის წერილი მე გადავეცი „ოსვობოჟდენიე“-ს რედაქტორს სტრუვესაო. შემდეგ ილაპარაკეს ვექილებმა მაკლაკოვმა და ბ. პლევაკომ. ორივემ ძალიან ნიჭიერი სიტყვები წარმოსთქვეს. სასამართლომ უმაღლესის მანიფესტის წყალობით თავ. მეშჩერსკის შეუმცირა სასჯელი და გადაუწყვიტა ორის კვირით სამხედრო ჰაუპტვახტში დაპატიმრება.

◆ „რუსი“ გადმოგვცემს: „21 ნოემბერს „ბუფფ“-ის თეატრთან, როდესაც ხალხი იკრიბებოდა, იყვნენ აფიცრებიც. ორი აფი-

---

კიდევ უფრო აღშფოთდებოდა ნილუსი, როცა შეიტყობდა, რომ იქ მყოფ პოლიცმეისტერს ყურადღება არ მიუქცევია ამ ინციდენტისათვის—მანიფესტანტებმა საქმე გაათავეს, სახლში წავიდნენ და საბჭომაც განაგრძო თავისი ჩვეულებრივი მუშაობა.

მართალია, ეკატერინოდარის პოლიცმეისტერის ქცევით გულ-დაწყვეტილ აზნაურს იარას ცოტათი კიევის საგუბერნიო ადმინისტრაცია დაუამებდა, ის ადმინისტრაცია, რომელმაც ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოებას ნება არ მისცა საჯარო კრება მოეხდინა რაღაც წმინდა სპეციალურ მოხსენების წასაკითხავად და განსახილველად (კარგად არ მახსოვს, კარტოფილზე იყო ეს მოხსენება თუ სხვა ამგვარ უბრალო და უდანაშაულო მცენარეზე).

მაგრამ რამდენ სისხლს გაუფუჭებდა „დახურულ კარების“ მოტრფიალეთ ის ბანკეტები, რომელიც რუსის ინტელიგენციამ გაჰმართა სასამართლოს რეფორმის იუბილეს გამო!

—

მართლაც, დიდი ამბები გაჰმართეს მთელ რუსეთში ამ საყურადღებო იუბილეს გამო. ტფილისის გარდა, არ დარჩენილა არც ერთი ცოტათი მაინც მნიშვნელოვანი ქალაქი, რომ საკანგებო სხდომა ან ბანკეტი არ გაემართათ განვლილ ტკბილ დროთა მოსაგონებლად და დღევანდელ მწარე მდგომარეობის აღსანიშნავად და დასახასიათებლად.

გარდა ტფილისისა, რუსეთის ყოველ ქალაქში ამ იუბილეის გამო ტკბილს ტკბილი უწოდეს და მწარეს მწარე და მერე ჩუმად და მალულად კი არა—აშკარად, საჯაროდ; ეს კიდევ ცოტაა; რეზოლუციები ქაღალდზედ დასწერეს და დამსწრეთ ხელი მოაწერეს, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ ეს ხელმოწერილი ქაღალდი, სადაც ჯერ არს, იქ იქნებოდა წარდგენილი.

წარმოიდგინეთ, მაზუთიან ბაქოშიც კი ამგვარი ამბავი ყოფილა, აქაც რეზოლუციები დაუდგენიათ, ხელიც მოუწერიათ!

—

ბევრი სიმწარე გამომჟღავნდა სასამართლოს რეფორმის იუბილეს გამო.

დიდებული პრინციპები ჰქონდა დიდებული სარჩულად 1864 წლის რეფორმას, მაგრამ დღიდან რეფორმის შემოღებისა ეს სარჩული ისე ხეხეს, რომ ბოლოს სრულიად გაცვითეს, ამბობენ და სწერენ მცოდნე კაცები.

აი რასა სწერს „იურისტი“ ამის გამო:

მთელი წყება საქმეებისა წაერთვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს და გადაეცა ასეთ დაწესებულებათ, რომელნიც ადმინისტრაციას უფრო სასარგებლოდ მიაჩნია თავისთვის; თითქმის ყველგან მოსპეს ასარჩევი მომრიგებელი მოსამართლე და მის ადგილას შემოიღეს სამოსამართლო-ადმინისტრატიული დაწესებულებანი. 1889 წლის კანონმა (საერობო უფროსების ინსტიტუტის შემოღება) არია ერთმანერთში სასამართლოსა და ადმინისტრაციის უფლებანი და ამით მოსპო დედა-აზრი 1864 წლის რეფორმისა. ჩვენ სასამართლოს ვეღარ ვიცნობთ: მისი კარები ხშირად იკეტება. კანონიერი სურვილი საზოგადოებისა—შეიტყოს, რა ხდება სასამართლოში მისთვის ფრიად საინტერესო საქმეების გამო—დაუკმაყოფილებელი რჩება. დამოუკიდებელი მოსამართლენი, რომელნიც მხოლოდ კანონით ხელმძღვანელობდნენ, მიყრუებულ, გადაკარგულ ადგილებში გადაჰყავდათ. და ზოგიერთ რაიონებში სასამართლო იძულებული იყო ეხელმძღვანელა თავის დადგენილების დროს გენერალ-გუბერნატორების განზრახვებით და არა არსებულ კანონებით. ადმინისტრატიულმა „უსმოტრენიე“-მ ძალა წაართვა კანონს.

პეტერბურგელი ნაფიცი ვექილი გესენი პირდაპირ ამბობს „პრავო“-ში: დღევანდელი იუბილე ნამდვილი, სულ უბრალო „ნედორაზუმენიე“ არის, რადგან 1864 წლის 20 ნოემბრის სამოსამართლო დებულება დღეს აღარ გვაქვს.

—

როგორ მოხდა ეს? ბრწყინვალედ დაწყებული საქმე რად გათავდა ეგრე სამწუხაროდ? ვინ ან რა იყო მიზეზი 1864 წლის რეფორმის ასეთ გადამახინჯებისა?

თუ დავუჯერებთ, ამის პასუხს გვაძლევს ბატონი ჟდანოვი, რომელმაც მოსკოველ იურისტების საიუბილეო კრებაზე ილაპარაკა.

მიზეზი 1864 წლის დებულების დაღუპვისა არის სრული შეუფერებლობა ამ დებულების პრინციპებისა არსებულ პოლიციურ ბიუროკრატიულ წესწყობილებასთან. „საკმარისია გავითვალისწინოთ დებულების მთავარი აზრები და ცხადათ დავინახავთ, რომ ეს მთავარი აზრები თავისთავად გულისხმობენ ეგრედ წოდებულ უფლებრივ სახელმწიფოს, ე. ი. ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც განაგებენ თანახმად ყველასთვის თანასწორ კანონებისა; გულისხმობენ ყოველ მოქალაქის უფლებისა და ინტერესის დაცვას დაურღვეველ კანონისა და ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელ სასამართლოს საშუალებით; გულისხმობენ თვითონ საზოგადოების მონაწილეობას სამართლის ქმნაში... წინდაწინვე, a' priori შეიძლებოდა თქმა, რომ ეს პრინციპები ვერ შეეგუებოდა ჩვენ ბიუროკრატიულ წესწყობილებას, რომელიც მოწადინებულია უფლებრივ წესის მაგიერ შემოიღოს უკანტროლო და პასუხუგები მზრუნველობა საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ მოვლენაზე“.

სანამ ეს წესი იქნება, შეუძლებელია სასამართლოს დებულებამ შეინახოს თავისი ნამდვილი ხასიათი და არ შეეგუოს არსებულ პირობებს, და თუ გვინდა, რომ სასამართლო ისეთი გვქონდეს, როგორც უნდა იყოს იგი, იძულებულნი ვართ ვეცადოთ ამ ბიუროკრატიულ რეჟიმის შეცვლასო, ამბობდნენ ორატორები საიუბილეო კრებებისა.

—

ტყუილი იმედები გაქვთო, საბედისწერო ყორანივით ჩხავის თავადი მეშჩერსკი, მაგრამ ბიუროკრატიის მტრები გულს მაინც არ იტეხენ და არწმუნებენ, ვისიც ჯერ არს, რომ ნამდვილ საზოგადოებრივ აზრის და სურვილის შეჩერება, არ დაკმაყოფილება ვერ არის გონიერი პოლიტიკაო. აუცილებელი საჭიროებაა ნამდვილი ნდობა, გარანტია-მოსილი, რომ გაჰქარწყლდეს ის უძრავი უნდობლობა, რომელმაც თავი მოიყარა და რომელიც გვიანდერძა ავმა წარსულმაო.

ცერს, როგორც იქ მყოფებმა სთქვეს, თეატრის კარებში უნახავს სალდათი. რა მოხდა ამ აფიცერსა და სალდათს შორის, ვერ გავიგეთ, მაგრამ ხალხი-კი მოულოდნელად შემოერტყა აფიცრებს და მოსთხოვა პოლიციის ოქმის შედგენა. როგორც სთქვეს, თეატრის კარებთან იდგა დაჭრილი სალდათი, მანჯურიიდან მოსული. ერთნი ამბობდნენ, სალდათი მოწყალებას თხოულობდა, მეორენი ჩესტი არ გაუკეთა აფიცრებსო. ასეა თუ ისე, ერთ აფიცერს აულია და სილა გაურტყავს სალდათისთვის, რასაც ძალზე აუღელვებია დამსწრე საზოგადოება. საზოგადოებას გაუგონია, ერთი აფიცერი როგორ უყვიროდა სალდათს: „მაშ აფიცრებად არა გვცნობო!" აფიცრებს უნდოდათ თეატრში შესვლა, მაგრამ იქ მყოფმა საზოგადოებამ გზა გადაუღობა. ერთმა აფიცერმა ხმალიც-კი იძრო, მაგრამ არც ამან გასჭრა. შემდეგ აფიცრები ეტლისკენ წავიდნენ, მაგრამ ხალხი აქაც ჩაერია: ცხენებს სტაცეს ხელი და ეტლი აფიცრებიანა საკომენდანტო გამგეობაში წაიყვანეს".

# თეატრი

ᲤᲝᲗᲘ. 28 ნოემბერს ადგილობრივ კლუბის დარბაზში სცენის მოყვარეებმა ფოთის სახალხო სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოადგინეს დრამა „ცხოვრება ბრძოლაა" იერ. გუდისაშვილისა. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნნი ალ. სანოძე, ი. კოხრეიძე, №, ე. ელიავა; ი. იმნაძე, გ. ნადირაძე, და ნ. საბუელი; ქ-ნნი ეკ. ფლენტისა, ქეთ. ხუნდაძე, ალ. ჩაჩანიძე და ნ. ნორაკიძე. ეტყობოდათ, რომ კარგად მომზადებულიყვნენ. საზოგადოებას ძლიერ მოეწონა განსაკუთრებით ბ-ნი სანოძე (თავადი მაღალაძე) და გ. ნადირაძე (ჩაჩიკა). ქალებში უმთავრესი ყურადღება მიიქცია ქ-ნმა ჩაჩანიძემ (ცოლი რამაზ ორკულაძისა). დანარჩენებიც კარგები იყვნენ. შემდეგ წარმოადგინეს რუსული სცენის მოყვარეებმა რუსულად „მოსამსახურემ გამაბრიყვა", გადმოკეთებული ბ-ნ გ. გ. მიცკევიჩისა, გ. ი. გოლოვინის, გ. ა. მარჯანოვის და ქ-ნ ზ. ა. სიდოროვას მონაწილეობით, რომელთაც საზოგადოება ბევრი აცინეს. დასასრულ გაიმართა ცეკვა. როგორც გადმოგვცეს, 200 მან. შეტანს გაუყიდნია ბილეთები.

კარგს იზამდნენ ეს ახლად შემდგარი სცენის მოყვარეები, რომ სახალხო იაფ-ფასიან წარმოდგენებსაც გამართავდნენ. ეხლანდელი ფასები ვერ არის ღარიბ მუშა ხალხისათვის ხელ-მისაწვდენი.

ბ. პელაშვილი.

# წერილები

**ᲙᲐᲮᲔᲗᲘ.** კახეთს თუმც ცოტათ, მაგრამ მაინც კუს ნაბიჯით წინსვლა ეტყობა—ამას მგზავრთა სიმრავლისაგან და მიმოსვლის გახშირებიდანაც დავინახავთ. წინად თელავიდან სოფელში წასვლა რომ უნდოდა კაცს, ცალკე ჩასაჯდომი ან ცხენი უნდა დაექირა. ეხლა კი შეუძლიან უამისოდაც იმგზავროს. თელავიდან ნიადაგ დღე ყოველ მხრივ მიმოდიან დილიჟნები: გაღმა მხარეს—ს. ყვარელში, თიანეთის მაზრისკენ—ს. ახმეტაში და ქიზიყისკენ—ველისციხეში, ზოგ მხარეს რამდენიმე დაიარება, და უნდა შევნიშნოთ, რომ თითქმის სულ მოიპოვება მგზავრი და ხან ადგილის უქონლობაა ხოლმე. ამ შემთხვევას აინუნში არ იღებენ; ოღონდ გამოჩნდეს, თვითონ მოათავსებენ და უარს კი არ ეტყვიან. ასეთი დილიჟნით მგზავრობა მეც მომიხდა, მაგრამ რაც იქ წვალება გამოვიარე, შორეულ აღმოსავლეთს წასვლა მერჩივნა. შიგ რომ ადგილი აღარ იყო, მგზავრი კოფოზე მოათავსეს, ისე რომ მომცრო დილიჟნის კოფოზე სამს მოუხდა ჯდომა. რამდენჯერმე შევჩივლე კონდუქტორს, მაგრამ მანუგეშა, არა უშავს-რა, ხან ასეა, ხან ისე, ზოგჯერ არავინაა მგზავრიო. მიმოსვლა გახშირებულია, ნამეტნავად შემოდგომაზე. კარგი იქნება, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს, რომ ადგილის მიხედვით გაჰყიდონ ბილეთები და არა წასვლის მსურველთა მიხედვით. შემოდგომის ხანგრძლივმა ავდრებმა საშინლად გააფუჭეს გზები, რის გამო მიმოსვლა გაძნელებულია, გზები ხშირად ფუჭდება, ნამეტნავად გაზაფხულზე—წვიმების დროს, მაგრამ ალაგ-ალაგ, ეხლა მთელი შარა—საფოსტო გზის უმეტესი ნაწილი შეკეთებას თხოულობს. აკი ერთ ალაგას სოფლის მოხელეებს ბეგარა გამოეყვანათ, ვითომ გზის შესაკეთებლად, მაგრამ ასე გზის წესიერად შეკეთება შეუძლებელია და არც ძალუძთ... ასეთ მდგომარეობაშია ის საფოსტო გზა, რომელსაც ცოტად თუ ბევრად ყურადღებას აქცევენ. სოფლის გზებზე ხომ არაფერი ითქმის, იქ კაცს არ გაევლება და ავდრის დროს ვერც ვერავინ დადის საქონლის გარდა. ქვეითი გზა კი ვენახ-ეზოებზე დაუდვიათ და ღობეებზე გადი-გამოდიან, ვიდრე ტალახი აშრება და გზა გზას დაემგვანება. ამ 7-8 წლის წინად ერთ სოფელში მამასახლისს ბეგარა გამოეყვანა და სოფლის ბოლოდან სოფელში მიმავალ გზაზე ქვა დაეყრევინებინა. მაშინ ლანძღვით იკლებდნენ თურმე, ეხლა კი კურთხევით იხსენიებენ—თუ ის არა, ქვის დაყრას ვერავინ ითავებდა და ეხლა გაუვალი იქნებოდა, ნეტა კიდევ ეცოცხლა, ახლა ხვრიში უნდა მოეყარაო. ამის არ იყოს, ჩვენი სოფლელი ისეა თავის საქმეში გართული, რომ დღე-ღამე მოსვენება არა აქვს, ის თითონ ვერ მოიცლის გზის გასაკეთებლად, თუ სხვამ არ ჩასჩიჩინა. თუ ამას სხვამაც ყურადღება არ მიაქცია, მაშინ სოფლის გზებს უარესი დღე დადგება და უფრო გაძნელდება მაზე მიმოსვლა.

დ—შვილი.

**Ს. ᲐᲮᲐᲢᲔᲚᲘ,** (თელავის მაზრა). ახატელს მომიჯნავეთ უძევს თათრის სოფელი ყარაჯალა. ამ სოფელში ჩაფრები დგანან და რადგან თათრის სოფელში ხშირად ხდებოდა ბოროტ-მოქმედება, გაგზავნილ იყო საერობო დარაჯთა უფროსი ურიადნიკი (ჩაჩანი) კონოხილოვი. 27 ნოემბერს თათრებს ბაირამის დღესასწაული ჰქონიათ. დღესასწაულზე მიუწვევიათ ადგილობრივი მემამულეც. ღამე 22 ნოემბერს ურიადნიკ კონოხილოვს გამოუცილებია სტუმარი ახატელში. გზაზე ღამის ყარაულები არ დახვედრიან. უკან დაბრუნებისას ურიადნიკი მისულა ნაცვალთან. ყარაულები ბინაზე არ არიანო და ერთი ყარაულის სახლში წასულან. ამას ცოლი ლოგინზე სწოლია და ყარაულში ველარ გასულა. როგორც ნაცვალმა გადმოსცა, ამისთვის ეცემა, მერე წასულან სხვაგან. ამასობაში ღამის ყარაულები ამავე სოფლის მცხოვრებნი ბერუაშვილი და მრელაშვილი მისულან. ურიადნიკს მათთვის უნდა ეცემა თურმე, პირველს გაქცევა მოუსწრია, მეორეს კი—მრელაშვილს ვერა და მისთვის დაეწყო ცემა. ამ დროს მრელაშვილს ხანჯალი ეძრო და ურიადნიკისთვის მიეცა მუცელში. ურიადნიკი კონოხილოვი მძიმედ დაიჭრა. მეორე დღეს მრელაშვილი და ბერუაშვილი შეიპყრეს და თელავში გაგზავნეს მაზრის უფროსთან. კონოხილოვი მთავრობას ყოჩაღ და მამაც კაცად ჰყავდა ცნობილი, როგორც ქურდობის და სხვა ბოროტ მოქმედების ამომჩენელი. მას—ზაურბეკას სახელით მთელი მაზრა იცნობს. ხშირად პოლიცია ჰგზავნიდა სოფლებში ხარჯის მოსაკრეფად...

ვან—ილი.

**ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.** ცხოვრების ათასგვარმა მოთხოვნილებამ მუშა ხალხს სოფელი მიატოვებინა და პირი ქალაქისკენ აქნევინა. დადგა ზამთარი და ქალაქი გაივსო აუარებელ მუშებით. იყო დრო, როდესაც ბათუმში ბევრი სამუშაო იშოვნებოდა. ამ დროს ჩამოდიოდნენ სოფლიდან გლეხები, ორ-სამ თვეს წაიმუშავებდნენ და შემდეგ სახლისაკენ მიეშურებოდნენ. მაგრამ დღეს სულ სხვაფერ არის. აქამდე თუ ჩამოსვლისთანავე შოულობდა სამუშაოს მუშა ხელი, დღეს სამი-ოთხი თვე უნდა მოუცადოს და შემდეგ შეიძლება იშოვნოს სამუშაო. რამდენად დრო მიდის, იმდენად მატულობს ასეთ მუშების რიცხვი. ვსთქვათ, მიიღეს მუშა ხელი ქარხანაში. ეძლევა დღეში 90 კაპ. და ამათ-კი რას გააწყობს? ვერც სხვაფრივ არის მუშის საქმე კარგად. არ მოიპოვება არც სამკითხველო, არც საკვირაო სკოლა და არც სხვა რამე. ასეთ საქმეებისთვის ვის სცალია?!.. აქეთ მარტო ლუდხანების რიცხვი მრავლდება.

არ შემიძლიან აგრეთვე არ ვუსაყვედურო აქაურ სცენის მოყვარეებს. აქამდე, როგორც იყო, მართავდნენ წარმოდგენებს, თუმცა არა იაფ-ფასიანს და ეხლა იმასაც თავი მიანებეს. კარგი იქნება, განაგრძნობდნენ წარმოდგენის მართვას.

გასულ კვირას ქალაქის გამგეობამ სანიტარულ კომისიიდან დაითხოვა ორი სანიტარი და გამოუცხადა: „ხოლერამ უკვე იკლო და ეხლა აღარ ხართ საჭირონი"-ო. საკვირველია სწორედ, აქამდე ხოლერა ბაქოსა და ერევნის გუბერნიებში იყო და ეხლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ტფილისშიაც გადმოვიდა. ამას ჰქვიან კლება?

ვანო ქარცივაძე

# ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

30 ნოემბერი

**ᲢᲝᲙᲘᲝ,** 29 ნოემბერი („რეიტერი"). იაპონელთა მანჯურიის მთავარი შტაბი იუწყება, რომ 28 ნოემბერს, დილის 2 საათზე, რუსების ქვეითა რაზმმა იერიში მიიტანა ბეიტაცუზე, ხოლო განთიადისას უკუქცეულ იქნაო. იმავე დღეს ნაშუადღევს რუსების არტილერიამ, რომელსაც მანპაოშანის დასავლეთით პოზიცია უჭირავს, ლაოტუნსა და ტანსაბოცუს ყუმბარები დაუშინა. იაპონელთა არტილერიამ ტაშანის დასავლეთიდან ყუმბარები დაუშინა ბურაორუს, ხოლო ყუმბარებს არც ერთ მხრისათვის ზარალი არ მიუყენებიაო. რუსების კავალერიამ იერიში მიიტანა სოფ. მიძახეიზე, ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ დასავლეთისკენ უკუქცეულ იქნა დიდის ზარალით. ოკუს არმიაში მყოფი რეიტერის კორესპონდენტი იუწყება 28 ნოემბერს, რომ რუსები დღე და ღამ თოფებს და ზარბაზნებს ესვრიან ოკუს არმიას. იაპონელები პასუხს არ სცემენ. ამ ჟამად არ ელიან რუსების დაუყოვნებლივ გამოლაშქრებას სამხრეთისაკენ. არ იციან, ზამთარში სამხედრო მოქმედების რანაირი პლანი აქვთ რუსებს. დიდი სიცივეებია. იაპონელებმა თითქმის დაასრულეს მუშაობა ზამთარში ჯარის დასაყენებლად.

**ᲢᲝᲙᲘᲝ.** ფიქრობენ რომ სტესსელის მთავარ-სადგური პეინტუანშია. იგი ხანდისხან 92 მეტრიან გორაზე ადის ერლუნშანის ახლოს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

29 ნოემბერი

**ᲨᲐᲜᲰᲐᲘ,** 29 ნოემბერი. „მორნინგ პოსტ"-ი იუწყება, იაპონიის ფლოტს მაშველი რაზმი შეუერთდა და ბალტიის ესკადრის დასახვედრად გასვლას აპირებსო. პახეს სამხრეთით იაპონელთა მარჯვენა ფრთა ჩრდილოეთისაკენ გამართა; მოწინავე რაზმებმა კუანშანს მიაღწიესო.

**ᲡᲔᲣᲚᲘ,** 28 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ"-ის სიტყვით, საბუთებია ვიფიქროთ, რომ რუსებმა ძლიერ გაადიდეს პოსიეტის ყურეში ჯარების რიცხვი, ტიუმენის ჩრდილოეთ ნაპირზე სიმაგრეებს აშენებენ და მდინარეზე ხიდი გაიყვანესო.

**ᲢᲝᲙᲘᲝ,** 29 ნოემბერი. „სტანდარდ"-ი ამბობს, არა ოფიციალურ, მაგრამ სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ გემი „სევასტოპოლ"-ი პორტ-არტურის გარედ დგას და მონტეშანის სიმაგრე იფარავს; გემი იაპონელთა ბატარეებისაგან დაცულია, ნაღმ ან გემებისაგან კი საფრთხე მოელის. რუსის ნაღმიანი გემები მცურავ საავადმყოფოებთან ერთად დგანან და ამ ნაირად აცილებენ იაპონელთა ყუმბარებიო.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ,** 29 ნოემბერი. უმაღლესად შეურდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის, 29 ნოემბერს: „28 ნოემბერს ღამე მომხდარ შეტაკებათა შესახებ მოხსენება არ მოსულა; დამ-დამე ძლიერ ჰყინავს."— გენერალი სახაროვი დეპეშით იუწყება მთავარ შტაბს, 29 ნოემბერს: „29 ნოემბერს მომხდარ შეტაკებათა შესახებ მოხსენება არ მოსულა: მზიანი დღე იყო; ქარი სუსტად ჰქროდა. 12 გრადუსი ყინვა იყო".

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

30 ნოემბერი

**ᲧᲐᲖᲐᲜᲘ,** 29 ნოემბერი. სხდომა გაიხსნა. თავმჯდომარე კითხვების სიას აცხადებს. სულ 25 კითხვაა. თავმჯდომარის სიტყვამ 3 საათი გასტანა. მან აღნიშნა, რომ ეს ბოროტ-მოქმედება არაჩვეულებრივია. თავმჯდომარის სიტყვა ოთხად გაიყო; 1) საქმის იურიდიული მხარე; 2) საგანი ბოროტ-მოქმედებისა; 3) ადგილი, სადაც ბოროტ-მოქმედება მოხდა; 4) ბოროტ-მომქმედთა პიროვნება. თავმჯდომარემ სთქვა, ნაფიცმა მსაჯულებმა კარგად აასრულეს თავისი მოვალეობა და გაამართლეს საზოგადოების იმედი. ნაფიც მსაჯულებს სახეში ჰქონდათ საზოგადოების სულიერი განწყობილება და აგრეთვე კანონის მოთხოვნილება. საზოგადოება მზად არის სასამართლოს საშუალებით და პირადად დასაჯოს ბოროტ მომქმედნი. თავმჯდომარემ სთქვა, მრავალი უსახელო წერილი მივიღე: დამნაშავეთა სასტიკად დასჯას მოთხოვდნენ. ხალხი დღეს დადის და კითხულობს, სად არის ის ხატი, რომლის წინ მლოცავნი მრავლად თავს იყრიდნენ. საქმის გარჩევა დასრულდა. საიდუმლო არ გამოაშკარავდა. ყველა სამწუხაროდ დადუმდება, ჩვენ კი ვერაფერ პასუხს ვერ გავცემთ". ეს რომ სთქვა, თავმჯდომარე ატირდა. ნაფიცი მსაჯულები გავიდნენ საქმის გადასაწყვეტად. ნაფიცმა ვექილმა ბაბუშკინმა სთხოვა სასამართლოს, ოქმში შეეტანათ, რომ თავმჯდომარემ თავის სიტყვაში ისეთი ნაწყვეტი მოიყვანა, რომელთაც გამოძიება არ შეეხება, განსაკუთრებით აღნიშნა ღვთის გმობის მნიშვნელობა და სთქვა, უსახელო წერილები მივიღე, რომლებშიაც დამნაშავეთა სასტიკ დასჯას მოთხოვდნენო.

ნაფიცმა მსაჯულებმა შემდეგი დაადგინეს: საკითხზე, დამნაშავეა თუ არა ჩაიკინი, რომ სხვებთან შეთანხმებით, რევოლვერით შეიარაღებულმა, ფარულად მოიტაცა ხატი და ფული, მსაჯულებმა უპასუხეს „დამნაშავეა, მხოლოდ რევოლვერი არ ჰქონია; სასჯელის შემსუბუქების ღირსია". ზახაროვი გაამართლეს. საკითხზე, დამნაშავენი არიან თუ არა კუზნეცოვი და შილოვიჩი, რომ საქმე არ გამოაშკარავეს, ნაფიცმა მსაჯულებმა უპასუხეს, დამნაშავენი არიან, მაგრამ სასჯელი უნდა შეუმსუბუქდეთო. მაქსიმოვი დამნაშავედ იცნეს, რადგან იგი ბოროტ-მოქმედთ იფარავდა, ხოლო ქურდობის გარემოებანი არ იცოდაო. სტოიანს გადაუწყვიტეს 12 წლით კატორღა, კომოვს—10 წლით, მაქსიმოვს—უფლებათა ჩამორთმევა და ოთხის წლითა და რვა თვით სატუსაღო როტებში გაგზავნა; კუზნეცოვსა და შილოვიჩს—6 თვით საპატიმროში დამწყვდევა. სტოიანმა მადლობა უთხრა ნაფიც მსაჯულებს. სასამართლოს ახლოს ქუჩები სავსეა ხალხით, რომელსაც დამნაშავეთა ნახვა უნდა. დამნაშავენი ფარულად წაიყვანეს.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** როგორც სარწმუნო წყაროდან გვიგიათ, უვადოდ გადადებულ საერობო კრებები სულ მოკლე ხანში იქმნებიან მოწვეულნი.

**ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ,** 29 ნოემბერი. სამკურნალო მეცნიერებისათვის ნობელის პრემიით დაჯილდოვებულმა პროფესორმა პავლოვმა სამეცნიერო მოხსენება წაიკითხა.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** რადგან გაზეთმა „სინ ოტეჩესტვა"-მ არ შესწყვიტა მაინც მმართველობის წერილების ბეჭდვა, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, გამოეცხადოს გაზეთს მესამე გაფრთხილება და სამის თვით შეჩერებულ იქმნეს.— მინისტრმა დაადგინა: მაინც მმართველობის გამო გამოეცხადოს გაზ. „პრავო"-ს მეორე გაფრთხილება.

**ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ,** 28 ნოემბერი. გენერალი ნასირ-ფაშა ზღვით მიდიოდა სალონიკს 18 ზარბაზნით, თოფებით, ტყვიის მფრქვეველებით და სურსათით. ნასირ-ფაშა მთავარ-სარდლადაა დანიშნული მაკედონიაში ამბოხების ჩასაქრობად და არა-ჩვეულებრივი უფლებანი აქვს მინიჭებული. ნასირ-ფაშას დაუმორჩილებს სამი ახლად შედგენილი ბატალიონი სალონიკსა, უსკიუბსა და მონასტირში. სამხედრო წრეებში ამბობენ, ნასირ-ფაშას ვრცელი უფლებანი მისცესო.

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ,** 29 ნოემბერი. კანცლერმა წერილით მიმართა ჰერერთა შორის მყოფ სასულიერო მისსიის დირექტორს; წერილი შეეხება მისსიისაგან გამოცხადებულ სურვილს შუამდგომლობა გასწიოს ჰერერთა და გერმანიის შორის შეტაკების მოსასპობად. ბიულოვი სწერს, ადგილობრივ მოხელეთ ებრძანებათ, დასთანხმდნენ მისსიის კეთილ შუამდგომლობაზე.

**ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ,** 29 ნოემბერი (საკუთ. კორ.) ახალი მინისტრები წარუდგნენ სკუპშტინას. წაიკითხეს სამინისტრო დეკლარაცია. სტოიანოვიჩმა გამოაცხადა, დამოუკიდებელი რადიკალები დახმარებას გაუწევენ ეხლანდელ მთავრობასაო.

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ,** 29 ნოემბერი. ხელი მოაწერეს ინგლის ამერიკის ხელ-შეკრულობას სამედიატორო წესით საქმის გარჩევის შესახებ.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** „კანონთა კრებულში" გამოქვეყნებულია, რომ მოსპობილ იქნა ფოსტით ფულების გადაცემა რუსეთსა და საფრანგეთს შორის და დამტკიცებულ იქნა დროებითი დებულება სამხედრო-სასანიტარო მატარებლების შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

# ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

### პეტერბურგის ბირჟა, 26 ნოემბერი

| | |
|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. სტ. | 3,70 |
| ბერლინისაზე 100 მარკაზე | |
| პარიზისაზე 100 ფრანკზე | 37,30 |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,40 |
| ბერლინისაზე „ | 46,30 |
| პარიზისაზე „ | — |
| ბირჟის დისკონტი | 6,7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91½ |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | – |
| 4½% შინაგანი სესხი 1903 წ. | — |
| 4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. | 89⅛ |
| 5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ. | 425 |
| 5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ. | 316 |
| 5% გირ. მომგ. ფურც. საზ. ს.-მამ. ბანკ. | 267 |
| 5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. | — |
| 4½% ობლ. იმავე საზოგად.. | — |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. | — |
| 5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ | — |
| 4½% გირ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. | 244 |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ᲑᲐᲥᲝᲡ:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ᲑᲐᲗᲣᲛᲡ:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ᲔᲠᲘᲕᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲠᲡ:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 10 ს.(10 ს. 58 წ.).

**ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲡ:** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ᲑᲐᲥᲝᲓᲐᲜ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ:** 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 51 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ᲔᲠᲘᲕᲐᲜ-ᲧᲐᲠᲡᲘᲓᲐᲜ:** 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲓᲐᲜ:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ᲢᲤᲘᲚᲘᲡ-ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

**ᲑᲐᲥᲝ-ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში —60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი.**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტერ[illegible]ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

**ᲙᲣᲙᲘᲘსა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა.** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ვეჯიბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

# ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲔᲑᲘ

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—9 „
3. ოლღას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 1.—2 საათ
„ საღამ. 5—8 „

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ შაბათს, 4 დეკემბერს, ქალაქის გამგეობის თანდასწრებით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის თვითმმართველობის სასტამბო და საკაზმავი სამუშაოები.

პირობების გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე გამგეობის მდივანთან. (ნ. 1—1)

---

**ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1905 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲝᲠ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ**

XXII წ. „ᲛᲬᲧᲔᲛᲡ"-ზე XXII წ.

და

XX წ. **რუსულ** «ПАСТЫРЬ»-ზე XX წ.

ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 12 თვით „მწყემსი" 3 მ. | 6 თვით „მწყემსი" 2 მ. |
| სამკურნალო ფურცლის დამატებით — 4 მ. | — „რუსული" „ 2 „ |
| —„ რუსული „ 3 მ. | — „ ორივე გამოცემა 3 „ |
| | -- „ ორივე გამოცემა 5 „ |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში—ბ-ნ ესტატე ღამბაშიძესთან, ტფილისში—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქცია იმყოფება დ. ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала «МЦКЕМСИ» и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი"-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან. (3—3)

---



**СѢДЕЛЬН,**
**СПЕЦІЯЛЬН**
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, ხაზაფხულო საბრანის ახლოს. (წ.—176—87).

---

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

# ᲙᲘᲝᲡᲙᲨᲘ,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 10 |
| ბნელით, მოთხრობა—შედანასი | — | 20 |
| ალ. ყაზბეგის I, ტომი | 1 | 50 |
| II და III ტომი თითო | 1 | — |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ | — | 80 |
| ითვლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა. | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოლტოსი | — | 20 |
| აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| ღვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე, მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურ-ლამა | — | 20 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილეთა | — | 20 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 25 |
| ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჯუანგულოვისა | 1 | — |

Дозволено цензурою, 30 ноября 1904 г. სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამხ." Электроп. Груз. Изд. Т—ва.